



# ილორი



E-mail: roland.jalagania@mail.ru  
E-mail: r.jalagania@mail.ru  
E-mail: gazetiilori@gmail.com

№375 (434) 9-16 აპრილი 2016 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო ფასი 50 თეთრი

სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრულად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ვნა – აააკი ვანიძე

**ჰაელაზ ჭიკაშვილი:**  
*Tur qeTis ar Semdgar i  
gadatrial eba da  
saqar Tvel o*

გვ.2

**ჯაბა სუბუა:**  
**აბუ-ბრეიბი  
ქართულად  
— სანდრას  
მანქანა**

გვ.9

**ნუგზარ კვაშილაძე:**  
**უცხო სიბყვათა  
კოლხური  
ნარმოვაკლება**

გვ.6



სერბი საჯანია:  
“მზნებარე” ჯაბუკობიდან  
“რუსთავი-2“-ის მთავარ  
დიასახლისობამდე  
(**გუფინიობამდე**)

გვ.3



**ცრამელნაკურები  
ბვარდები**

ამ ქვეყნად ბევრი რამ არის ცვლადი,  
იცვლება ჟამი, დრო მიდის-მოდის.  
ქართველი უნდა იყოს ერთგული,  
ქართული გენის, ქართული მოღვმის!

გვ.7



**ანზორ დანელია:**  
**მონები**

მე მათ ვუწოდებ სტომაქით  
მოაზროვნე „ფეხისუფალი“! და  
ეს არარაობებიც ბრწყინვალედ  
ასრულებენ საქართველოსთვის  
საზიანო დავალებებს, როგორც  
არის ბრძოლა ყოველივე ქარ-  
თულის, ტრადიციულის  
წინააღმდეგ!

გვ.7



**ნიწო**  
**ლურსმანაშვილი:**  
რა მეთოდებით  
მოიპოვებენ კირქვას და  
რა საფრთხე ემუქრება  
ეკის მთაში აღმოჩენილ  
უნიკალურ მღვიმეებს

გვ.4-5

**გაქა-ფშაველა:**  
**რა არის  
თავისუფლება?**

გვ.10

...იქ რა უნდა თავისუფლებას, საცა ჩემი ნაშრომ-ნად-  
ვაწი სხვას მიაქვს? ჩემი ნაშრომის ნაყოფს ჩემდა  
უნებურად, ჩემ მიერ ნებადაურთველად სხვა  
ისაკუთრებს?..



mixeil saakaSvil ma  
sakuTari Tavis  
gamosaxul ebiT  
monet ebi daamzada

გვ.11



**ცოტნე გამსახურდია:**  
**საქართველოს  
ბუნების გაჩანაბება-  
ბანადგურება  
ბენდუქიძის  
თაოსნობით  
დაიწყო!**

გვ.11

# Turqetis ar Semdgar i gadat rial eba da saqar Tvel o

“ქვეყნის დასაპყრობად საჭიროა პატარა ნოსის გაშლა – სულის მსხველი ღოცვისთვის. სამომავლო გარდაქმნაში ყველაზე ხმაელად იქნება – ხმა ის-ლამის“ – ეს სიტყვები ეკუთვნის მუსლიმანთა სასულიერო ლიდერს ფეთჰულა გიულენს (**Fethullah Gulen**), რომლის სახელიც თურქეთის არსებობის შემდგომი გადარჩევის შემდეგ არა მარტო თურქეთის, არამედ მსოფლიოს ელექტრონულ და ბეჭდვით მედიაში სისტემატურად გაისმოდა.

თურქეთის ხელისუფლება დაბეჯითებით თხოვს აშშ-ს ადმინისტრაციას გადასცეს აშშ-ში მცხოვრები გიულენი, რომელსაც არსებობს სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორად მიიჩნევენ. ოფიციალური ვაშინგტონი არ გამოიცხადებს ასეთ ქმედებას, თუ თურქეთის ხელისუფლება ოფიციალურად მიმართავს მას და თუ გიულენის მონაწილეობა სახელმწიფო გადატრიალებაში დადასტურდება.

ექვსიოდე წლის წინათ, აშშ-ს ჯორჯთაუნის უნივერსიტეტისა და იორდანის ისლამის სამეფო ცენტრის ერთობლივი კვლევის შედეგად გამოქვეყნდა თანამედროვეობის უდიდეს მუსლიმანთა სია, რომელშიც 20 თურქეთიდან არის – საერთაშორისო საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი პოლიტიკური და საზოგადოებრივი სიის მე-13-ე ნომრად დასახელებულია **ფეთჰულა გიულენი** – რელიგიური ორგანიზაცია „ჯამაათის“ ხელმძღვანელი. აღნიშნული ორგანიზაცია და მისი საქმიანობა ყოველთვის იწვევდა თურქეთში და არა მარტო იქ გარკვეულ ეჭვებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის იყო პრემიერ-მინისტრ ერდოღანის კონსულტანტი. მას დიდი წვლილი მიუძღვნის დღევანდელი მმართველი პარტიის – სამართლიანობისა და კეთილდღეობის ჩამოყალიბებაში.

1994 წლის ბოლოს მემარცხენე ძალებმა და თურქეთის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა გაილაშქრეს მაშინდელი ხელისუფლების მაღალი წარმომადგენლების, მათ შორის პრემიერ-მინისტრ თანსუ ჩილერის საჯარო კავშირების წინააღმდეგ რადიკალ ისლამისტ გიულენთან. მემარცხენეები კატეორიულად გამოხატეს გიულენისთვის პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაში პომპეზური დახვედრის გამართვას. მემარცხენეთა მიხედვით, ხელისუფალთა ამგვარი ქცევა ნიშნავდა სუფისტური ორდენის ლეგალიზაციას, რომელიც აკრძალული იყო ქვეყნისთვის.

2000 წელს ოპოზიციონერის, რეჟეტიანი ერდოღანის აშშ-ს ვიზიტის დროს შედგა მისი შეხვედრა გიულენთან, რომელიც აშშ-ში ცხოვრობდა. როგორც ამბობენ ამ შეხვედრამ დადებითად იმოქმედა ერდოღანის პოლიტიკურ კარიერაზე. რწევები, რომლებიც ფეთჰულა გიულენმა მისცა ერდოღანს ატარებდა, როგორც პოლიტიკურ, ისე რელიგიურ ხასიათს და მიმართული იყო ხელისუფლების მოპოვებისთვის პოლიტიკური ბრძოლისკენ. გარდა იდეოლოგიური რწევებისა იყო მატერი-ალურ-ფინანსური დახმარებაც.

ექსპერტი ნეჯატი ჰამლეტიმოღლუ თავის წიგნში წერდა: „**გიულენის ჯამაათი არა მარტო რელიგიურ გრძობებს უწევს მხარდაჭერას, არამედ პოლიტიკურ მიზნებსაც ემსახურება. მას არ ჰყავს ბაღალი ქვეყანაში თავისი ორგანიზებულიებით. გიულენის მიმდევრები, მდიდარი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, აფინანსებენ ყველა სფეროს, განსაკუთრებით განათლებას. ფეთჰულისტები გარდაიქმნენ უდიდეს ორგანიზაციად, რომელიც, 25 მილიარდი დოლარის კაპიტალის და წლიური მილიარდობის შემოსავლის წყალობით, ყიდულობს თითოეულს და ყველას“.**

1980 წელს იზმირში საჯარო გამოსვლის დროს გიულენმა აღნიშნა, რომ სულ მალე თურქეთში ადგილი ექნება ისეთ მოვლენას, როგორც ირანში 1979 წელს. გიულენი არაერთხელ იყო დაკავებული, მაგრამ, დიდი მფარველების მეშვეობით, ახერხებდა ციხიდან გამოსვლას.

თურქეთის სპეცსამსახურების დასკვნით, გიულენის ორგანიზაცია შეფასდა, როგორც საფრთხე საერო სახელმწიფოსთვის, რომელიც მიზნად ისახავს რელიგიური სახელმწიფოს ჩამოშლის მიზნებს. სპეცსამსახურების მოხსენებაში აღნიშნული იყო ფეთჰულისტების, სახელმწიფო ორგანი-ზაციებში ჩაბუდება, სახელმწიფო

მექანის მიხედვით დაქინება და ათათურქის რე-ფორმების უგულვებელყოფა. მიზანი – შარიათზე დაფუძნებული სახელმწიფოს შექმნა. ამ მიზნის მიღწევის შემდეგ უფრო ფართო გეგმებიც არსებობდა – მსოფლიო თურქულ-ისლამური კავშირის შექმნა.

დიდი გეგმის მიღწევაში თავისი წვლილი შექონდა გიულენის ჯამაათის მიერ სახელ-ვარგარეთ შექმნილ სასწავლებლებს. 160 ქვეყანაში ფუნქციონირებს გიულენის მიერ შექმნილი რელიგიური სასწავლებლები. გიულენმა განსაკუთრებული ინტერესი გამოავლინა ყოფილი საბჭოთა რესპუბ-ლიკების მიმართ. რუსეთში ამ ჯამაათის მოქმედება 2008 წელს აიკრძალა.

გიულენი არა მარტო რელიგიური კავშირებით გამოირჩევა, არამედ ბიზნეს-ურთიერთობებითაც. მუსლიმ მეწარმეებს, მრეწველებს დიდი წვლილი შეაქვთ გიულენის იდეების ცხოვრებაში განსტარე-ბლად. მათ მიერ გიულენის ჯამაათში შე-ტანილი ფინანსური შესაწირავი ერთობ მსუყე და მნიშვნელოვანია. გიულენი მათ მოუწოდებს ახალი ქვეყნების დაპყრობას, ბიზნეს-გაგენების გაფართოებას: „**ღღეს, ისე, როგორც არასოდეს, საჭიროა ახალი საგარეო ბაზრების ათვისება, სადაც ჩვენ გამოსავალს ვნახავთ, შევქმნით კონკურენ-ციას“.**

„**თუ ჩვენი ინვესტორები ჭკუით იმო-ქმედებენ და დაფასებენ თანამშრომლობას რელიგიის, ენის, კულტურის, ისტორიის დარგში, შევძლებთ უცხო სახელმწიფოებში შეღწევას. გავლენის მოსაპოვებლად სუ-ლაც არ არის საჭირო არცაა. დასაპყრობად, ლოკალისთვის საჭირო ფარდაცვის გაშლაც საკმარისი იქნება“** – ამბობს გიულენი.

ამერიკელი სწავლულის შარონ კრესპი-ნის ნაშრომში ხაზგასმითაა ნათქვამი შემდეგი: „**გიულენის ჯამაათი იღვწის არა მარტო სახელმწიფოზე გავლენის მოსაპოვებ-ლად, არამედ სახელმწიფოს მართვაზეც უნდა გავლენის მოპოვებაში. თურქეთში ერთ მეჩეთზე 350 მომლოცველი მოდის, მაშინ, როდესაც ერთ საავადმყოფოზე – 60 ათასი პაციენტი.**

იმამთა რაოდენობა 90.000-ა, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე საერო მასწავლე-ბლები და ექიმები. ფეთჰულას მიმდევრები უხვად არიან პარტია „სამართლიანობისა და კეთილდღეობის“ რიგებში. ფაქტიურად ისინი მართავენ ამ პოლიტიკურ ორგანი-ზაციას ბანკების, სკოლების, მედია-იმ-პერიის დახმარებით“.

ამერიკელი სწავლულის ხმამაღალი განცხადება 2010 წელს პერიოდს ეხება, თუმცა მას შემდეგ ვითარება რადიკალურად არ შეცვლილა. ევლა მიმდინარეობს დღეს, სახელმწიფო გადატრიალების მცდე-ლობის შემდეგ, როდესაც ერდოღანმა დაიწყო არა მარტო სახელმწიფო ძალებში ფართომასშტაბიანი წმენდა, არამედ პოლი-ციაში, უშიშროების სამსახურში, პროკუ-რატურაში, სასამართლო სისტემაში, განათლებაში და ა.შ. ათეულ-ათასობით ადამიანი დააპატიმრებული, უმრავლესობა მათგანს ხანგრძლივი ციხე ემუქრება, ზოგს სასჯელის უმაღლესი ზომა – სიკვდილით დასჯა, რომელიც 2003 წლიდან არ გამოიყენება თურქეთში.

ერდოღანის განცხადებით, უნდა აღდგეს სიკვდილით დასჯა, ვინაიდან ამახ მოითხ-ოვს ხალხი. შემოიღებენ თუ არა სასჯელის ამ უიდეურეს ზომას, უახლოესი მომავალი გეინვენებს. შემოღების შემთხვევაში, თურქეთს ევროკავშირისკენ მიმავალი გზა ჩაიკეტება, რის შესახებაც აცხადებენ ამ ორგანიზაციის მაღალი მოხელეები. გაუწ-ვეს თუ არა მათ ნათქვამს ანგარიშს ერ-დოღანი – ძნელი სათქმელია, ვინაიდან თითქმის ნახევარსაუკუნოვანმა ყურყურმა ბრიუსელის კარზე დიდი იმედგაცრეუბა გამოიწვია ოფიციალურ ანკარაში.

გარდა ამისა, პრეზიდენტ ერდოღანს სწორედ ახლა აქვს შანსი გაუსწორდეს მის მოწინააღმდეგეებს, განსაკუთრებით ერთ დროს მოკავშირეს, ამჯერად მტერს გიულენს და მის მხარდამჭერებს. ის, ამ შანსს ხელდას არ გაუშვებს, მიუხედავად იმისა, ეწინებათ თუ არა ბრიუსელში. დასავლეთში შეშფოთებას იწვევს თურქეთში განხორციელებული მასობრივი დაჭერები და ის, რომ ეს ქვეყანა მტკიცედ ადგას ერთმართველობის გზას. ის, რომ ერდოღანი ერთმართველობის მმართველია, ფაქტია. ის, რომ გიულენი რელიგიური, ისლამური ცენტრალიზებული სახ-ელმწიფოს შექმნისა და მართვის სულის

ჩამდგმელია, ფაქტია. ხელისუფლებაზე შეყვარებული ორი მოწინააღმდეგის ჭიდილი დღევანდელით არ ამოიწურება. მას მომავალშიც ექნება ადგილი.

ერდოღანის პოლიტიკა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ დიდ ეჭვებს და გაღიზიანებას ბადებს, რაც ერთ-ორად გაიზრდება ახალი დაჭერების შედეგად. 80-მილიონიან თურქეთს უსერიოზულესი პრობლემები აქვს ქურთების სახით, რომ-ლებიც ტერორისტებად აღიქმება ერდო-ღანისა და მისი ხელისუფლების მიერ.

ონი მეზობელ სირიაში და ამ ქვეყნიდან თურქეთში შესული 3 მილიონზე მეტი ლტოლვილი, არანაკლები თავსატეხვარია ისე, როგორც გართულებული ურთიერ-ობები აშშ-ს, ევროკავშირთან, რუსეთთან, სირიასთან, სხვებთან. ზღვა პრობლემები, როგორც სომხთა, ისე საგარეო, დიდ ძა-ლისხმევას საჭიროებს ერდოღანის მხრი-დან. როდის და როგორ შეძლებს მათ და-ძღვევას, იოლი გამოსაცნობი არ არის.

სამხედრო გადატრიალებაზე მან შეძ-ლო დიალოგის დაწყება ისრაელთან, ბო-ლიში მოუხადა რუსეთის პრეზიდენტს თვითმფრინავის ჩამოგდებისთვის და გამოთქვა სურვილი მჭიდრო თანამშრომ-ლობისთვის. წინ, გასაკეთებელი ბევრია, მაგრამ ორად გაყოფილი ქვეყნის, ერდო-ღანისთვის სასურველი ჩარჩოში მოქცევა, არცთუ იოლი საქმეა.

დიდმა მუსტაფა ქემალ ათათურქმა თქვა: „**ჩვენ გავყვებით ცივილიზაციის გზას და მივალთ ცივილიზაციამდე. ვინც ჩამოგვრჩება, ცივილიზაციის აზვირთებულ ტალღებში დაიხრება“**. ათათურქმა გაანაღდა მონარქია, სახალხო, შარი-ათის სასამართლო, რელიგიური სკოლები – მდრესეები, აკკეთა მრავალცოლიანობა, ქალები გაუთანაბრა მამაკაცებს, არაბულის ნაცვლად შემოიღო ლათინური ანბანი, დასვენების დღე პარასკევიდან კვირას გადაიტანა.

„თურქთა მამად“ წოდებულმა, ფაქტიურად შექმნა თანამედროვე თურქეთი. ოს-მალეთის იმპერიის დროს ყველა იყო ოს-მანი. სიტყვა „თურქი“ საწყენად აღიქმე-ბოდა. ათათურქმა თქვა – „**რა ბედნიერებაა, იყო თურქი“!**

მას შემდეგ თითქმის საუკუნე გავიდა. ქვეყანა შეიცვალა, თურცა არა ისე, რო-გორც ათათურქს სურდა. ათათურქმა თურქეთს თავს მოახვია ხელოვნური და ზედპირული ვესტერნიზაცია, როგორც თავის დროზე პეტრე პირველმა რუსეთს. მას სურდა ტრადიციული მუსლიმი საზო-გადოების ევროპულად გადაკეთება. მი-უხედავად დაძალებისა, თურქეთის საზო-გადოება რჩებოდა ადმოსავლური, ის-ლამისადმი ერთგულია.

90 წელი დასჭირდა ერდოღანის გამო-ჩენას, რომელმაც დააბრუნა ქვეყანა ჭეშ-მარიტების გზაზე ანუ მუსლიმურ თანამეგობრობაში, რომელსაც ის კანონ-იერად მიეკუთვნება. დაიწყო მუსლიმური თურქეთის აღორძინება მას შემდეგ, რაც ერდოღანის პარტიამ 2003 წელს წარმატე-ბას მიაღწია არჩევნებში. რაც უფრო სწრაფად მიმდინარეობდა ეს პროცესი, მით უფრო მძაფრებდა რეაქცია დასავლურად განწყობილი საზოგადოე-ბისა.

განვიღო 90 წელი უქმად არ ჩაუვლია. თურქეთის საზოგადოების ნაწილმა შეითვისა და დაფასა დასავლური ფსევ-ლობები, მაგრამ საზოგადოების ეს ნაწილი ჩამორჩება დანაწინებს – სოფლები და ქალაქის ღარიბ მოსახლეობას რაოდენო-ბით. სწორედ ამ ნაწილთან გამოქმნა საერთო ენა ერდოღანმა. დაიწყო ქვეყნის დაბრუნება გუშინდელ, ზოგჯერ გუშინ-წინდელში. ქვეყანამ, რომელმაც იგემა საერო ყოფა, მისთვის მიუღებელია ის-ლამიზმი. ასე და ამრიგად განხდა სერი-ოზული დაპირისპირება.

მართალია, ბოლო, მეხუთე გადატრი-ალების მცდელობის დროს, ინტელიგენცია ერდოღანის მხარეს დადგა, უბრალოდ მოსალოდნელი უარესის გამო, მაგრამ ეს მაინც არ არის ის მხარდაჭერა, რასაც ერდოღანი ისურვებდა. ძნელად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ქვეყნისტები განუძღებია და ხმას არ ამოიღებენ ერდოღანის აე-ტოკრატიულ მმართველობაზე. დაუჯერე-ბელია, განაწევნებულ სამხედროთა დარჩე-ქვა. გაავლეს დრო და ისინი კვლავ წამოჰყოფენ თავს. დამოუკიდებლობამდებელი საქარ-

ველოსთვის თურქეთი იყო ფანჯარა დასავლეთში. პირველი ნაბიჯებიც სწორედ თურქეთისკენ გადაიდგა და ეს არ იყო მარტო პოლიტიკური. ეს იყო ეკონომიკური, სავაჭრო ნაბიჯები და რაც მთავარია სახ-ალხო. შიდა ომებითა და ეკონომიკური გაუსაძლისობით დაოსებულმა საქარ-თველმა უმაღ გააფორმა თურქეთთან ჩარჩო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით აღიარა ყველა ადრე გაფორმებული ხელშეკრულე-ბები, მათ შორის ყარსის. თურქეთმა ოს-ტატურად ჩაატარა პოლიტიკური თამაში, რითაც საბოლოოდ აიძულა საქართველო, სამარადისოდ ჩაეთვალა ყარსის ხელშეკრულება.

ადრინდელი 90-იანი წლებიდან მოე-ოლებული, თურქეთი აძლიერებს თავის გავლენას საქართველოზე, როგორც პოლი-ტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. არანაკლები გავლენა იგრძნობა რელიგიის სფეროში. აჭარაში განხდა რელიგიური სასწავლებლები, რომლებიც ევოლუცია გიულენი სახელს და ფინანსებს უკავშირდ-ება.

საქართველოს ხელისუფლება, მოჭარ-ბებული ხელგაშლილობით, უწევს მასპინ-დლობს მეზობელი ქვეყნის რელიგიურ ამბიციებს. სულ ახლახანს, თურქულ ტელეარხ „**A-Haber**“ზე გამოსვლის დროს ერთ-ერთმა ფეთჰულისტმა ჰაიატ ქუჩუკმა, რომელიც საქართველოში გიულენის სკოლების გახსნით იყო დაკავებული, თქვა: „**ვაფინანსებთ ყველას, ვინც კი რამეში გამოგვადავება. საქართველოში გიულენმა ეკლესიის დაფინანსებაც დაე-ვაფადა. დიას! ქართულ ეკლესიას გა-დაუხნადეთ ფული. უკან არ ვიხევედით ქრ-თაშუც. ეღუარდ შევარდნაქს 165.000 დოლარის ჩეკი გადავავტო ქრთამის სახით თავის კაბინეტში. ამ ფაქტს თურქეთის ელჩიც ესწრებოდა“.**

ქუჩუკმა ბევრი სხვაც თქვა საინტერესო, განსაკუთრებით სააკაშვილ-ერდოღანისა და სააკაშვილ-გიულენის მჭიდრო ურთიერ-ობებზე. მან არც სააკაშვილის თურქოლოგი დედა, გიული ალასანია დაივიწყა თავისი საქმიანი კონტაქტებით გიულენთან.

„თურქეთი ჩვენი მეზობელია“, როგორც ხელისუფლება გვიცხადებს – „სტრატე-გიული პარტნიორი“, მაგრამ ამან თავი არ უნდა დააკარგვის ქართულ პოლი-ტიკას. მან კარგად უნდა იცოდეს, რომ სტრატეგიული პარტნიორობა მუდამ დათ-მობას არ ნიშნავს. თურქეთი, საკუთარი ამბიციებიდან გამომდინარე, ყოველთვის შეეცდება იმ ტერიტორიებზე თავის გავლენ-ის გაფართოებას, რომელსაც ისტორიუ-ლად თავისად თვლის. კავკასიის, კერძოდ საქართველოს ასეთად მიიჩნევენ, რაც არაერთხელ არის მოხსენიებული ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრისა და პრე-მიერ-მინისტრის აჰმედ დავუთოღლუს წიგნ-ში.

თურქეთის ტერიტორიული შეხვედრე-ბების მიმართ, ერდოღანისა და გიულენის დამოკიდებულება იდენტურია, რაც სულაც არ არის გასაკვირი ისეთი დიდი ქვეყნის მხრიდან, როგორც თურქეთია. გასაკვირი, საქართველოს ხელისუფალთა გულუ-ბრყვილობა და სიხარბეა, რამაც ნეგატიურად შეიძლება იმოქმედოს ქვეყნის მო-მავალზე.

ერთ ქვეყანაზე, მითუმეტეს ისეთზე, როგორც ამბიციური თურქეთია, ყველა ფსონის დადება იწვევს ფსონდადებული ქვეყნის მიერ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ექსპანსიას, რაც არაფრით ჩამოუვარდება სამხედრო ექსპანსიას. სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დივერსიფიკაცია არის თურქული ეკონომიკური და არა მარტო ეკონომიკური ექსპანსიის ბარიერი. რუსულ, ირანულ, სომხურ, თუნდაც აზერბაიჯანულ, ბელორუსულ, ცენ-ტრალური აზიის ქვეყნებისა და ჩინეთის სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებს შეუ-ძლიათ ნაწილობრივ მაინც გადაარჩინოს თურქეთის მიერ ეკონომიკურად ოკუპირე-ბული ქვეყანა. თუმცა ამ მიმართულებით, განსაკუთრებით რუსეთის, ხელისუფლება კუს ნაბიჯით მოქმედებს, რაც თავისთავად გავაფიქრებინებს, რომ მას სულაც არ ანაღვლებს შექმნილი ვითარება, ქვეყნის მომავალი.

ჰამლეტ ჰიკაშვილი, პოლიტოლოგი



“გზონებარე” ჯაგუგობიდან “რუსთაფი-2“-ის მოგვარ დიასახლისობამდე (გეგმვისობა)

გაგრძელება წინა ნომრიდან
კუპარაშვილი - ეს მოგვარებულია
უკვე, მაქალიკაშვილებმა მოავარეს. ბაღ-

გეგმვისობა, სანდრასთან დაარსებული რა,
ამსტერდამის გამანაწილებელი რომ
ჩაგვეკეტოს, ეს სქემა აღარ აქვსო.

საბაშვილი - ხომ ვითხარი
დავუკავშირდები და შეგატყობინებ. შენ
ელიზ დებრუკი გააფრთხილე მაინც
დღესვე, რომ სტამბულში შეგხვდეს.

საბაშვილი - ეს სირქალა უნდა გაიფიქროს
ვანოთ აუცილებლად მინისტრად. ესეც
შენ საქმეს მიხედუ და მოგვიანებით, ესე

საბაშვილი - ბილალა ერდოდანი
ელოდება ჩემს ზარს, მაგას თავისი გენ-
ერალი ყავს ამისთვის მზად, სპეც. მან-

სამწუხაროდ, იქედან (ტექნოკრატული
დასავლეთიდან) ისე გვექცევინ, როგორც
მდაბიოს, ხეგრეს (“გიგერაცუს”), ჩამორჩე-

- m. slam bilal bei
- m. Yes, everytjing is ok.
- m. How are you?
- m. Ok, I understand. He can cometomor-
row.
- m. Ok. On Monday He will be in Islendur-
den.
- m. Ok. I am noting.
- m. When david will arrive he will call
your man.
- m. Give my respect to your father mister
Taip.
- m. Ok. I ll see you in the end uary.

მაგრამ ეს გამონაკლისი, უიშვიათესი
შემთხვევაა, როგორც წესი, ევრო-ატ-
ლანტიკური რასიზმი და მის ხელისშეწყობა
მეგუშავები ამგვარი ხმაზოდების

საბაშვილი - ეს ტელეფონის ნომერი
ჩაიწერე, სტამბულში რომ იქნება მაგ
კაცს დაურეკე და ისკანდერუნში დაგხვდე-

კამათი ამ საკითხზე ქართული
სულიერებისთვის ვინმე ნიკა გვარამიასთან,
რომელიც მუსიკასთან და კერძოდ, ქარ-

საბაშვილი - მთავრად ვიცი რომ არ
იღებს, რა გამოტრიაკა, რა, მეტუტება პატარა ბავშ-
ვივით. ესემესი მივწერე და მიპასუხებს.

სხვათაშორის, ჩასაფრებულთა სანგრი-
დან ღანძრვა არის ძალიან დიდი ჯილდო,
საფასური ქრისტესმხედრული და გიორ-

საბაშვილი - ვურეკავ და არ იღებს,
რა გამოტრიაკა, რა, მეტუტება პატარა ბავშ-
ვივით. ესემესი მივწერე და მიპასუხებს.

ის, ვინც ამ მხრივ სხვა აზრისაა, იგი
მე კი არა, იმანუელ კანტს, ფრიდრიხ
ჰეგელს, იოანე სტრაინისკის, ბოლოს დაბო-
ლოს, იუნესკოს ეკამათოს, რომლებიც

საბაშვილი - მაგაზე მეტი უნდა
გამოვიდეს. გოგოების დავერობუკების
თემას თუ დავაფინანსებთ ქალების რესურს-

წუთმსხვერპლად: ახლა, როდესაც წინამდებ-
არე რაგადობაზე ვმუშაობ, რადიოთი
გადმოსცეს ნოკო ხურციას მიერ შეს-
რულებული “კუნძობდინერი”.

იყო, რომ ამ პანგმა შენში მამრი ე. ი.
ქრისტესმხედარი ან გიორგიანული არ
ააბუმგერაზოს, არ გააკეთილშობილოს

მე არაფერს ვამბობ ქართული მუსიკის
თავანკარა ღვთიწმინდობაზე, ერთი
კია, ვისაც ზაქარია ფალიაშვილის, ოთარ

კიდევ ერთხელ ვამბობ, - აქ მხოლოდ
დასანანი და არა მოულოდნელი ის, რომ
ადამიანი, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ

ვერსიტეტები, სკოლები, აღმოჩნდა, რომ
განათლება აკლია და სასწავლებლად მი-
აღლინეს იქ, საიდანაც ნაკლებად ბრუნ-

ეს ნოკო ხურციასზე მოგახსენეთ, ახლა
ქართლ-კახეთის, სვანეთის, იმერეთის, ხევ-
სურეთის, ლაზეთის, აჭარისა და ა. შ.

საბაშვილი - ბილალა ერდოდანი
ელოდება ჩემს ზარს, მაგას თავისი გენ-
ერალი ყავს ამისთვის მზად, სპეც. მან-

საბაშვილი - ხომ ვითხარი
დავუკავშირდები და შეგატყობინებ. შენ
ელიზ დებრუკი გააფრთხილე მაინც

საბაშვილი - ბილალა ერდოდანი
ელოდება ჩემს ზარს, მაგას თავისი გენ-
ერალი ყავს ამისთვის მზად, სპეც. მან-

საბაშვილი - ხომ ვითხარი
დავუკავშირდები და შეგატყობინებ. შენ
ელიზ დებრუკი გააფრთხილე მაინც

საბაშვილი - ხომ ვითხარი
დავუკავშირდები და შეგატყობინებ. შენ
ელიზ დებრუკი გააფრთხილე მაინც

საბაშვილი - ხომ ვითხარი
დავუკავშირდები და შეგატყობინებ. შენ
ელიზ დებრუკი გააფრთხილე მაინც

რა მეთოდებით მოიპოვებენ ქიჩქვას და რა საფრთხე ეექსპონირება აქის მთაში აღმოჩენილ უნიკალურ მღვიმეებს

ნიმეო ლურსმანაშვილი

„მოხდება რელიეფის ზედაპირის დეფორმაცია, დაბინძურდება ზედაპირული და მიწისქვეშა კარსტული ნაკადები, სასამელოდ გამოყენებული წყაროები, განადგურდება ნიადაგ-მცენარეული საფარი, შეიცვლება წყლების ცირკულაციის პირობები, დაშრება მთის მრავალი ანკარა წყარო. კარიერებში აფეთქებები გამოიწვევს არსებული სიღრმეული რღვევის და მისი თანხმლები ტექტონიკური ნაპრალების გააქტიურებას და ეკის მთის ნგრევას“ – მოვლენების ამგვარ განვითარებას ვარაუდობენ მეცნიერები იმ შემთხვევაში, თუკი სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოტიანეთში კირქვის მოპოვება დაიწყება. სპელეოლოგების მტკიცებით, საფრთხე შეექმნება უნიკალურ მღვიმეებსაც, რომლებიც ეკის მთის სიღრმეში, სულ რამდენიმე წელი აღმოაჩინეს და რომელია კვლევა, დასრულებული ჯერ არ არის. „ვერსია“ ჟურნალისტური გამოძიების მორიგ სტატიაში იმის გარკვევას შეეცადა, რა მეთოდით ხდება 21-ე საუკუნეში კირქვის მოპოვება, რა პრობლემებს შეუქმნის კოტიანეთს და ზოგადად სენაკს ჯერ კიდევ კომუნიკაციის დროს დაღუპული კირქვის კარიერის გახსნა და რა პროგნოზს აკეთებენ სპელეოლოგები.

კოტიანეთში თითქმის ყველამ იცის, რომ მთა, სადაც კირქვის კარიერია და საიდანაც, კირქვის მოპოვებაზე დიცივნი უკვე გაცემულია, მდიდარია მიწისქვეშა წყლებით. „ეს მთა წყალზე ღვას“, – ამ ფრაზას სოფელში, არაერთხელ მოსმენთ. იმის გასარკვევად, რას გულისხმობენ კოტიანეთელები, „ვერსია“ აკადემიკოს პაატა გიორგაძეს დაუკავშირდა, რომელმაც დაგვიდასტურა, რომ „სენაკი მიწისქვეშა წყლებითაა მდიდარი. სენაკში კირქვის კარიერის ამოქმედება კი პრობლემას შეუქმნის იქ არსებულ წყლებს და ვერაინ გათვლის, რა კატაკლიზმებს გამოიწვევს“.

ამგვარ პროგნოზს პაატა გიორგაძე კირქვის მოპოვების წესის გათვალისწინებით აკეთებს. მისი აზრით, უნაგირას მთაზე აფეთქებების წარმოება, კატკორი-ულად დაუშვებელია. რაღა დროს აფეთქებები, 21-ე საუკუნეში, მთის ფერდობებს, შესაბამისი ტექნიკით, უმტკივნეულოდ მოხსნით, განმარტავენ „ჰუალინგ ჯგუფის“ წარმომადგენლები და ცეხარ ჩიხელი, რომლებიც კოტიანეთში კირქვის მოპოვებას და ნოსირში ცემენტის ქარხნის მშენებლობას აპირებენ. დეტალებს იმის შესახებ, კონკრეტულად რა მეთოდებს გულისხმობს კირქვის „უმტკივნეულო მოპოვება“ დამუშავების პროექტის მიხედვით შეგიტყობთ, რომელიც უახლოეს მომავალში მომზადდება. მანამდე კი, „ვერსიაში“ სპეციალისტებთან გაარკვიო, როგორ მოიპოვებენ კირქვას დღეს.

როგორც ირკვევა, აფეთქებას, კირქვის მოპოვებისას, ვერაინ აცდება. ასე იყო ძველადაც, კომუნისტების დროსაც და ეს მეთოდი უნდა გამოიყენონ დღესაც. უბრალოდ, შეიძლება ითქვას, აფეთქების სტილი ოდნავ შეიცვალა. დღეს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში კირქვას ამგვარად მოიპოვებენ – საბადოზე, ერთმანეთის გვერდიგვერდ ნიადაგს ბურღავენ და სიღრმეებში, ერთდროულად, აწარმოებენ აფეთქებებს. ეს იმისთვისაა საჭირო, კირქვა გაფხვიერდეს. მხოლოდ ამის შემდეგ ადვილდება კირქვის გამოტანა შესაბამისი ტექნიკით.

სხვათაშორის, კირქვის მოპოვების მეთოდების შესახებ, ინტერნეტშიც არაერთი ინფორმაცია იძებნება, სადაც ნათლად ჩანს, რა მასშტაბის აფეთქებებია საჭირო. დაინტერესებულ პირებს, აღნიშნული ვიდეორგოლების ნახვისას, იმაზეც ადვილად შეეძლება მთაბუკდილება, წლების შემდეგ, რა მდგომარეობა იქნება დღეს მწვანე საფარით მდიდარ ეკის მთაზე. რას გამოიწვევს მსგავსი ტიპის საბუშაოები უნაგირას მთაზე? „ვერსია“ უკვე წერდა, რა ზიანი შეიძლება მიადგეს გარემოს. პექტრობით ტყე რომ უნდა გაიკაფოს, წყალი დაბინძურდეს, ეს ისედაც ნათელია. ხეების მოჭრის აუცილებლობაზე, სხვათაშორის, „ჰუალინგ ჯგუფის“ გენერალური დირექტორის მოადგილე, საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი ქსინფუ ვანგიც საუბრობს, რომელმაც

„ვერსიაში“ თან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა, „როცა საბადო ამუშავდება და გათხრები დაიწყება, ხეები უნდა ამოიძირკოს, მაგრამ იმავე ადგილზე ხეებს აუცილებლად დავრგავთ“.

მხოლოდ ხეების მოსალოდნელი ჭრა როდია პრობლემა. კირქვის საბადოს ამუშავებისას, შეიძლება საფრთხის წინაშე, ზოგადად, უნაგირას (ეკის) მთა დადგეს. ვინმემ შეიძლება იფიქროს, ერთ კონკრეტულ მთას ვინ დარდობს, როცა საქმე ქარხნის ამუშავებას, წარმოების დაწყებას, ინვესტიციის განხორციელებას და საბუშაო ადგილების განჩენას ეხება. კარგი იქნება, თუ ასეთები იმასაც გაითვალისწინებენ, რომ უნაგირა, ერთი ჩვეულებრივი მთა არ არის და მის წიაღში, არაერთ მიწისქვეშა წყლის დინებასთან ერთად, კარსტული მღვიმეებია, რომლებიც სხვათაშორის, არც ისე დიდი ხნის წინ აღმოაჩინეს. ეს მღვიმეები ადგილობრივებმა, „პატარა სათფლიად“ უკვე მონათლეს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, საზოგადოების ნაწილს, ჯერ კიდევ არ აქვს ინფორმაცია მათი არსებობის შესახებ.

მღვიმე სენაკელმა მოყვარულმა სპელეოლოგებმა, მურმან და ივორ ბოჯგუებმა აღმოაჩინეს. 2013-15 წლებში კი, კარსტულ-სპელეოლოგიური კვლევები აქ ქართველმა სპეციალისტებმა, ლიტველ კოლეგებთან ერთად აწარმოეს. ექსპედიციამ, რომელსაც დოქტორი კუკური ვიქარიშვილი ხელმძღვანელობდა, ზაზა ლევაია, თამაზ ქობულაშვილი, ვიტის ვილკასი, დონატას ზვიცკვიჩიუსი, ალგორდას ზიბოლისი, რაიმონდას ბარონასი, ანე გრინცივიჩიუტე და დევიდას ჯოსიუსი მონაწილეობდნენ. ამ ექსპედიციით პირველად მოხერხდა სააღმოსა და საწულეისკორის მღვიმეების წყლიანი და მშრალი დერეფნების დაძლევა, ტოპოგრაფიული აგეგმა და მღვიმეთა აღწერილობა. საქსპედიციო ჯგუფმა, საწულეისკორის სიფონებიან მღვიმეში, 280 მ სიგრძისა და 39 მ სიღრმის დახრილი წყლიანი დერეფნის აკვანაგებობა გაეკურს. საინტერესოა ისიც, რომ აღნიშნული აღმოჩენა დაფიქსირებულია ამერიკის შეერთებული შტატების ახალი გეოგრაფიული აღმოჩენების საერთაშორისო ბაზაში.

უნაგირას მთაზე არსებული მღვიმეები, დაწილობრივ შესწავლილია. კვლევები გრძელდება. ექსპედიციის მონაწილეების განმარტებით, საკვლევი ტერიტორია სპელეო-გეომორფოლოგიური თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა. აქტუალობას კი, მას ის ფაქტი მატებს, რომ აქამდე არ განხორციელებულა აქ გავრცელებული მღვიმური სისტემების მეცნიერული შესწავლა. აქედან გამომდინარე საქსპედიციო ჯგუფის მთავარი მიზანი ეკის მთის კარსტო და სპელეო-გენეზისის თავისებურებების ძირეული შესწავლა და ზოგიერთი კანონზომიერების დადგენა, მასზე არსებული ზედაპირული და მიწისქვეშა კარსტული ფორმების აღწერა-დაფიქსირება და ახალი მღვიმური სისტემების გამოვლენა იყო.

საწყის ეტაპზე დადებულ დასკვნაში, რომელიც „ვერსიაში“ მოიპოვა, ვკითხულობთ: „საკვლევი რაიონის მღვიმეების დიდი უმრავლესობა ჩასახულია ფრატულ ეპოქაში. ამჟამად მათი ნაწილი ვადოზური ეპოქის ვოკლუსურ სტადიაში იმყოფება, თუმცა წნევიანი წყლების გაგლენას მღვიმეების განვითარებაში ეკის მთა შედის დასავლეთ საქართველოს კარსტული ზოლის დაბალმთიან, კერძოდ, ოდიშის პლატოს (უნაგირას) მასივთა ჯგუფში და მოქცეულია მდინარეების, ცივისა და ტეხურის შორის. მთის თხემური ნაწილი გაწოლილია სამხრეთ-დასავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, კურსობტ მენჯიდან დადიანის ტახტას მასივსა და მას შორის მდებარე უნაგირისებურ დადბლებამდე. ეკის მთის სამხრეთ-დასავლური ნაწილის კალთები უშუალოდ სენაკს დაჰყურებს. გეოტექტონიკურად ეკის მთა ბრაქიანტიკლინურ სტრუქტურას ანუ ისეთ ნაოჭს წარმოადგენს, რომლის სიგრძე დიდად არ განსხვავდება სივანისაგან და გეგმაში ელიფსურ ფორმას იძლევა. ამ ნაოჭის წარმოშობა დაკავშირებულია სიღრმით რღვევასთან, რომელიც გადის ეკის

მთასა და კოლხეთის დაბლობის საზღვარზე. ეკის მთის მასივის ბრაქიანტიკლინური სტრუქტურის ბირთვის აგებენ ზედაკარცული და პალეოცენ-ეოცენური ასაკის კირქვები, ხოლო ფრთები მთლიანად აგებულია ქვედა და შუამიოცენური თხემებით და ქვიშაქვებით. ეკის მთის მასივის გავლობრით არსებული სიღრმეული რღვევა და თანმდევი წყვეტები და ნაპრალები ხელსაყრელ პირობებს ქმნის მისი ბირთვის დაკარსტისათვის. ზედაპირული კარსტული ფორმები წარმოდგენილია როგორც ჩვეულებრივი „ხეობებით“, მათში განვითარებული ძაბრებით, ჭებით და შახტებით, ისე ფართო და ჩაკეტილი ღრმეებით“.

დასკვნაში ასევე წერია, რომ ეკის მთის თხემური ზოლი ჩაკეტილი ქვაბულებითა და ძაბრებითაა მდიდარი. ერთ-ერთ ასეთ ძაბრში კი, ტბაა წარმოდგენილი, რომელიც ცნობილია „ფართო წყლის“ სახელწოდებით. ძაბრები და ჩაკეტილი ქვაბულები აქ მოსული ატმოსფერული ნალექების რეგულაციას წარმოადგენენ, საიდანაც ძირითადად მარადემა ეკის მთის ფერდობზე (განსაკუთრებით ჩრდილო ფერდობზე) გამოშავალი დიდ დებიტიანი წყაროები. მიწისქვეშა ფორმების (ჭები, შახტები, უფსკრულები), სიღრმე კი, ზოგჯერ რამდენიმე ათეულ მეტრს აღწევს. სპელეოლოგები ამ გამორიცხავენ, მონაწილეში მათმა სიღრმეში ორ ასეულ მეტრსაც გადააჭარბოს. მღვიმეები განვითარებულია სოფელ სახარბედიოში, საწულეისკორში, სააღამოში, საგუნიოსა და კვარხიდალში. ისინი ხშირად ორ ან სამხართულიანია. ფერდობებზე, სხვადასხვა სიმაღლეებზე წარმოდგენილია მძლავრი ვოკლუსური წყაროები, რომელიც ზოგჯერ მღვიმის შესასვლელიდან გადმოსჩქვს.

ფართო წყლის ტიპის გარდა, აქ კიდევ რამდენიმე ტბაა. ერთ-ერთი ტბის მიღმა, ვიწრო დერეფნის მარცხენა კედელზე, ფსკერიდან 3-4 მ სიმაღლეზე, 3 ადგილას გადმოდის 10-15 ლ/წმ დებიტის მქონე ვეპტური ჩანჩქერი. ჩანჩქერების გაყოფებით ტერასაზე კი მესამე სიფონური ტბაა, რომელიც მღვიმის ბოლოში მდებარე ტბას მიწისქვეშა წყლიანი დერეფნით უკავშირდება (ეს მონაკვეთი გაცურეს ლიტველმა აკვადანგისტებმა). კიდევ ერთი სიფონური ტბა მღვიმის ბოლოშია. მღვიმეში არსებული ორი განშტოების გასაყვართან კი, ფსკერზე, კარგად გამოვლენილი, სპირალისებური ჭაა, რომლის სიღრმე 8-10 მეტრს აღწევს. სპელეოლოგების დასკვნის მიხედვით, მასში ქვის ჩაგდების შემდეგ ისმის წყლის დეაფუნი და კედლის ზანზარი, რაც წყლის მიღმა ასევე სიცარიელის არსებობაზე მიუთითებს.

ექსპედიციის მონაწილეები არ გამორიცხავენ ეკის მთის წიაღში კარგად დამუშავებული მღვიმური დერეფნებისა და დარბაზების არსებობასაც. მათ აღმოსაჩენად კი, მთის თხემურ ნაწილსა და ფერდობებზე განვითარებულ ჭებსა და უფსკრულებში მთელი რიგი საბუშაოების ჩატარების აუცილებლობაზე საუბრობენ. მათი თქმით, საჭიროა აღნიშნულ ტერიტორიაზე ინდიკატორული ცდები ჩატარდეს და წყლების ქიმიური მინერალიზაცია განისაზღვროს. სპელეოლოგების მიერ მომზადებულ დასკვნაში კიდევ ერთი საინტერესო პასუხია: „ეკის მთის ფერდობებზე სხვადასხვა სიმაღლეებზე გამოშავალი წყაროების ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი დადებითი წყალცვლა მეზობელი ტერიტორიებიდან. რომ არა გარე წყლების შემოქმედება, სოფელ ზემო სორტის მდამოებში, კირქვის დელეუიონში გამოშავალ ფორნტალურ ნაკადებს, დიდი ხნის წინ უნდა შეეწყვიტათ მოქმედება. ამის თქმის საფუძველს იძლევა ფორნტალური ნაკადების მაღალი ტემპერატურა, რაც ახლოსაა მდინარე ტეხურის წყლის ტემპერატურასთან. ამასთან, აღნიშნული ფორნტალური წყაროებიდან ზოგიერთი გოგირდის დაბალი შემცველობითაც გამოირჩევა, რაც ტეხურის ხეობაში გამოშავალი გოგირდის მაღალი შემცველობის და წყლის საკმაოდ მაღალი ტემპერატურის მქონე „დედამოკას“ თერმული წყლების ტეხურთან განზაგების და შემდგომ კალაპოტიდან მათი გაჟინვის შედეგია“.

თუკი ეკის მთაზე, მნიშვნელოვანი დადებითი წყალცვლა მართლაც ხდება ახლომდებარე ტერიტორიებიდან, მაშინ სპეციალისტების პროგნოზი, არც თუ სახარბიელოა – კირქვის მოპოვების დაწყებიდან დაახლოებით 10-20 წელში, დიდი ალბათობით აქ მივიღებთ ჭარბ წყალმოვარდნებსა და ეკოლოგიურ კატასტროფას.

მთის ჩამოშლის საშიშროებაზე საუბრობს „ვერსიაში“ მოყვარული სპელეოლოგი მურმან ბოჯგუაც. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ჩონჩლის კარიერი, კონკრეტულად მღვიმეების შესასვლელის სიახლოვეს არ არის, ზოგადად ამ მთაზე ხელის ხლება, პრობლემებს აუცილებლად წარმოქმნის.

იმის გასარკვევად, კონკრეტულად რა საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ეკის მთა და სენაკის მუნიციპალიტეტი, „ვერსია“ ექსპედიციის მონაწილეებს, ჯავახიშვილის უნივერსიტეტის, ასევე ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლებს, კუკური ვიქარიშვილსა და ზაზა ლევაიას დაუკავშირდა. მათი პროგნოზი ასეთია: „სამწუხაროდ, მსგავსი პრეცედენტი ჩვენ უკვე გვაქვს საქართველოში – ჭიათურის მანგანუმის მომპოვებელი კარიერების სახით, სადაც ბუნებაზე ტექნოგენური ზემოქმედების კოეფიციენტი დიდი ხანია გადააბიჯა დასაშვებ ნორმებს და დღეისათვის ეს რაიონი წარმოადგენს მთელ საქართველოში (და შესაძლებელია კავკასიაშიც) გეოეკოლოგიურად ერთერთ ყველაზე კატასტროფულ რეგიონს. ჭიათურის რაიონი იმიტომ მოგვყავს მაგალითად, რომ აქ ეკის მთის მსგავსი ტექტონიკურ-სტრუქტურული, კარსტულ-სპელეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობები და ფაქტორებია წარმოდგენილი. თუ ჩვენს მიერ ჭიათურაში ჩატარებული კომპლექსური მეცნიერული კვლევის შედეგებით ვიმსჯელებთ, ეკის მთაზე და მის მდამოებში ჩვენს მიერ გასულ წლებში ჩატარებული კვლევების შედეგებთან გათვალისწინებით, ადვილია წარმოსადგენია, რომ ჭიათურის რეგიონის მსგავსი ან უფრო უარესი კატასტროფული შედეგებია მოსალოდნელი. რამდენადაც ცნობილია ეკის მთის თხემს მთელ სიგრძეზე გაუყვება სიღრმეული რღვევა და მის გაყოფაზე და სიახლოვეს ქანები ძლიერ არის დამსხვრეული და დანაპრალებული, რაც დამატებით პირობებს ქმნის კარსტის ინტენსიური განვითარებისათვის. მთის ფერდობებზე რელიეფში კარგად იკითხება ახალი და ძველი მეწყვეტები და ჩამოშლილი კლდეზეგები, რომელიც ტექტონიკურ ნაპრალებთანაა დაკავშირებული. მომავალში, ეკის მთის ზონაშიც თუ კირქვის მოპოვება ისეთივე გეგმით, მასშტაბებითა და მტაცებლური დამოკიდებულებით განხორციელდება როგორც ჭიათურის კარიერებში (რაც არ არის გამორიცხვადი), აქაც მოსალოდნელია მსგავსი უარყოფითი შედეგები მივიღოთ“.

აქ კარიერების ექსპლუატაცია გამოიწვევს ძლიერ დაკარსტული ტერიტორიების მკვეთრ გაფართოებას და შესაბამისად კარსტთან დაკავშირებული ნეგატიური მოვლენების გაძლიერებას. კარიერების გავრცელების რაიონებში სისტემატური ხასიათი მიეცემა რელიეფის ზედაპირის დეფორმაციებს, გააქტიურდება ეგზოდი-ნამიური პროცესები, დაბინძურდება ზედაპირული და მიწისქვეშა კარსტული ნაკადები, სასამელოდ გამოყენებული კარსტული წყაროები. განადგურდება ნიადაგ-მცენარეული საფარი. შეიცვლება წყლების ცირკულაციის პირობები, დაშრება მთის მრავალი ანკარა წყარო. კარიერებში ძლიერი აფეთქებები გამოიწვევს არსებული სიღრმეული რღვევის და მისი თანხმლები ტექტონიკური ნაპრალების გააქტიურებას და ეკის მთის ნგრევას. არ არის გამორიცხული ტექტონიკური რღვევის გადაკვეთის სიახლოვეს აფეთქებებმა ადგილობრივი სეისმური აქტივობები და ბიძგებიც გამოიწვიოს. არ გამოვრიცხავთ სხვა უარყოფითი შედეგების გამოვლენასაც. (გაგრძელება მე-5 გვერდზე)



# უცხო სიტყვათა კოლხური წარმომავლობა

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

მნიშვნელოვანად განსხვავდება დასახელებულთაგან შინაარსით „ცხოვრება გინკიანოსისა ანუ ღონგინისა“, რომელიც სომხურ ენაზეა (ვენეცია 1874, I, 715-721) დაბეჭდილი. ამ „ცხოვრებით“ ასისთავი გინკიანოსი, ე. ი. ლინკიანი, წარმოშობით სირიელი, ესწრებოდა უფლის ჯვარცმას; მან გაუხვირება შუბით ბარბაყი იესოს და როგორც მოწამე სასწაულებსა, რაც თან სდევდა ჯვარცმას, წამოიხაზა: „ქვეშარი-ტად, ღმერთის ძე იყო იგი“ (მათე 27.54). შემდგომში გინკიანმა (ღონგინმა) მოცუქულთაგან შეითვისა ევანგელური სწავლება და გაემგზავრა კაბადოკიაში, სადაც მან მოაქცია ბევრი ქრისტიანობაში და სადაც მან მიიღო წამებულის გვირგვინი, დაკითხვისა და წამების შემდეგ.

სირიელთა შორის არსებობდა კიდევ მეორე ვერსია გადმოცემისა ღონგინის შესახებ: „სტრატოტის [ჯარისკაცი - ნ.კ.], რომელმაც გაუხვირება ბარბაყი იესოს, მი-აფურთხა მას სახეში და დაარტყა მას ღოფაში, სახელად ერქვა ღონგინი, ეს სწორედ ისაა, რომელიც იწვა საწოლში ავადმყოფი ოცდათვრამეტი წლის გან-მაგებლობაში და შემდგომ უფელმა ჩვენმა ის განკურნა და უთხრა მას (იოანე 5.14): „აჰა, განიკურნე, ნუღარა სცოდავ, რათა უარესი არ დაგემართოს“.

კვართი არ მოიხსენიება ღონგინის ჩამოთვლილ ბიოგრაფიულ მონაცემებში, მაგრამ ეს მონაცემებიც სრულიად საკმარისია, რომ დავაკავშიროთ ასისთავის ბუდე კვართის ბუდთან, რადგანაც უფლის სამოსელის განაწილება მოხდა მცველთა შორის, რომლებიც წარმოდგენილი იყვნენ ჯვარცმულთან და რომელთა შორისაც იყო ხსენებული გადმოცემებით ღონგინიც. და აი, ღონგინი ღებულობს თავის წილ ქრისტეს სამოსელს: ასეთი გადმოცემა ღონგინის შესახებ, რომელიც ჯერ სრულიად არაა გადაქცეული ქართულ ებრაე-ლად, ტრიალებდა სირიელთა შორის. ამ გადმოცემას ჩვენ ვხვდებით მიქაელ სირიელის ისტორიის სომხურ თარგმანში (ხელნ. ა. ხ. მუხეშისა, №11, ფ. 23ბ. = ხელნ. პარიზის ნაციონ. ბიბლ. ანც. ფონდს 0.90, ფფ. 38ა-38ბ).

უფლის უკერავ კვართზე წმინდა ფერები ამბობს, რომ წილი ყარეს ჯარისკაცებმა, რათა არ დაეგლიჯათ ის, და კვართი წილისყრით შეხვდა ერთ ჯარისკაცს, ღონგინის (გინკიანის) ხელქვეითს. აიღო ის ასისთავმა ღონგინმა და მიიტანა გალატაში, თავის ქალაქ მაქსონში, სადაც პატივს სცემენ მას (კვართს) დღევანდ-ღამემდე.

მეორე ასისთავმა, ლაზმა ტანსაცმლის თავისი წილი მიიტანა თავის ქალაქ ფოთში (პუღში), სამეგრელოს დედაქალაქში (ეგრეთა ქვეყანაში); (სამოსელის ეს ნაწილი) ჩადეს უქუშის ტურტელში და ჩამოიკიდებოდა ეკლესიაში, ყველადასათვის მიუწვდომელი და ყველადასათვის ხიდული. ეს უკერავი კვართი მოქსოვა აბგარის დამ და ჩვენს უფალს გაუგზავნა ანანია შიკრიკის ხელით“.

„რომელიც სამოსი შეხვდა ლაზს — წერს ნ. მარო — არც ისე გასაკვირია: აღ-ბათ იგივე კვართი, რადგანაც უშუალოდ ლაზის შესახებ მონათხრობის შემდეგ ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ „ეს უკერავი კვართი“ და ა. შ. აღნიშნულ მონაკვეთში თითქმის შეერთდა ორი გადმოცემა კვართის შესახებ, ერთი გალატაში, მეორე ლაზურზე, მაგრამ ხომ არაა ჩამატებული შემდგომში მონაკვეთი ლაზ ასისთავზე? და ხომ არ ჩამატა ის სომეხმა მთაგმელმა სირიელი ისტორიკოსისა?

ასეა თუ ისე, ლევენდის კვადაკვად, რომელიც მოკლევადი გამოყენებული მიქაელის ისტორიაში სირიულ ენაზე, სრულიად შესაძლებელია, რომ არსებობდა მეორეც, უფრო ახლო ქართულთან. მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ ჩვენ ის არ შეგვიჯერებია უფრო ძველ ქართულ რედაქციასთან, რომლის ქონის შემთხვევაში ადვილად შეიძლება თვალი გვედევნებოდა თუ თანდათანობით როგორ ავითარებდნენ და ასადაგებდნენ გარედან მიღებულ ლეგ-ენდარულ სიუჟეტს აღმოსავლეთ საქართველოსთან, კერძოდ კი მცხეთასთან, აიგივებდნენ რა ამ ქალაქს მაქსონთან თუ მოქსონთან, სრულიად უგულვებელყოფდნენ ხსოვნას ფოთზე და „გალატელები“ ღონგინი და ანონიმური ლაზი წარმოაჩინეს ქართველ ებრაელებად — ღონგინობად (ღონგინი) და ელიოზად“ — ასკენის ნ. მარო.

ჩვენთვის საინტერესოა, რატომ იწვევს ავტორში (ნ. მარო) ეჭვს მონაკვეთი ლაზი ასისთავის შესახებ. რა მოტივით უნდა ჩამატებინა სომეხ მთარგმნელს ეს მონაკვეთი თავის თარგმანში? ნიკო მარო ამავე სტატიაში მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ სირიული ტექსტი მიქაელ სირიელის „ისტორიისა“ აქამომდეც არ გამოქვეყნებულა. მართლაც სირიული ტექსტის არსებობის შემთხვევაში ყველა კითხვას პასუხი გავცემოდა.

ნ. მარო ამბობს: „მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ ჩვენ ის არ შეგვიჯერებია უფრო ძველ ქართულ რედაქციასთან...“ და, ის რედაქცია ხომ არ არის, რომელიც ცნობილია, „მოქცევათა ქართლისა“-ს სახელით, რომლის შესახებ მიხეილ თამარაშვილი (1995, 146-147) წერს: „ნაშრომი სათაურით „მოქცევათა ქართლისა“ ახლახან აღმოჩენილი პატარა ქრინკაა (1889). მასში ფაქტების თხრობა აღემატება დიდ-დიდს იწყება და IX ს-მდე აღწევს, დადასტურებულია, რომ ეს ხელნაწერი დაიწერა და გადაიწერა IX-X სს-ში, ხოლო ნაშრომის I ნაწილი VII ს-შია შედგენილი (639-663).

ნაშრომს სწორედ ის ფურცელი აკლია, სადაც წმინდა კვართის და ქართველების მოქცევის დაწვრილებითი ისტორიაა გადმოცემული“.

ამ ფურცელზე სწორედ ისეთი ინფორმაცია ხომ არ იყო მოცემული კვართის შესახებ, რომელზედაც ნ. მარო ამბობს: „ჩვენ ის არ შეგვიჯერებია უფრო ძველ ქართულ რედაქციასთან“, რომლის ქონის შემთხვევაში შეიძლება იხილოთ დასკვნის გაკეთება როგორცაც აკეთებს ნ. მარო [ხედავთ მოყვანილი ხაზგასმული მონაკვეთი - ნ.კ.].

ბატონი მ. თამარაშვილი თავის, ხეობით დასახელებული ნაშრომის IV თავში განიხილავს უფლის კვართთან დაკავშირებულ ვერსიულ დოკუმენტებს (მათ შორის ცნობილ ტრიტის კვართთან და ასევე არქანტოის რელიქვიასთან, რომელსაც ზოგიერთი ისტორიკოსი ასევე ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს უკერავ კვართად მიიჩნევენ) და მრავალ ადგილას აღნიშნავს ადრეულ საუკუნეებში მის აღმოსავლეთში არსებობას, მათ შორის გალატაშიც. მ. თამარაშვილი (1995, 151) აღნიშნავს, რომ: „არაბები 642 წლიდან დაეუფლნენ საქართველოს და ძირფესვიანად გაძარცვეს ოთხი საუკუნის მანძილზე მძლავრობდნენ არაბები აქ... აი, სწორედ მაშინ უნდა მოეტაცებინათ წმინდა კვართი ბევრ სხვა რელიქვიასთან ერთად. მათ მმუსრავ ხელთ-ვან უნდა გადასულიყო წმ. კვართი მოგვანებით ტრიტის ეკლესიაში, თუ ტრიტის ეკლესიას ნამდვილად ჰქონდა იგი“.

საბოლოოდ მ. თამარაშვილი (1995, 153) ასკენის: „...იმის სასარგებლოდ, რომ საქართველო დასაბამიდან წმ. კვართის მფლობელი იყო, მეტყველებს ყველა მწერილის [იგულისხმება ევროპელი მწერლები - ნ.კ.] საერთო დუმილი I საუკუნიდან X საუკუნემდე“.

ამ დუმილს ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც უფლის წმინდა კვართია, ჩვენთვის პოზიტიური დოკუმენტის მნიშვნელობა აქვს.

დაბოლოს, რჩება ქართველთა გადმოცემა. თუმცა გადმოცემას ლევენდის კვადი ატყვია, კავკასიელი ხალხის ღვთისმოსაობისათვის მინიჭებულ მთვარესთან. ამასთანავე, სიძველითაც გამოიჩინება, რადგან დღემდე მოპოვებული საბუთები VII საუკუნეს აღწევს. გადმოცემაში განსაკუთრებით წარუშლელი კვალი დასტოვა როგორც მდგომარეობისაში, ასევე ხალხის აბათ-ჩვევებში. ამის უარყოფა კი მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, პოზიტიური და ეჭვიმუტანელი დოკუმენტები რომ არსებობდეს“.

ახლა კი ისევ მივუბრუნდეთ ხეობით უკვე ნახსენებ ორაკი გუნიას (2010, 126-127) წიგნს, სადაც ვკითხულობთ: „რუსი ბერი [იგულისხმება ბერი არსენ სუხანოვი - ნ.კ.] აგრეთვე მოგვითხრობს მცხეთაში კვართის მოსვენების მცირედ სასწავლოდ გადმოცემას. ტრადიციული ვერსიისაგან განსხვავებით მასთან მთავარი მოქცევი პირი არა ელიოზი, არამედ მისი თანამგზავრი ღონგინიზია (წყაროში ღონგინი). არსენ სუხანოვმა ქართველი ებრაელი ღონგინიზი კარსნელი შეცდომით გააიგივა სახარებოსიველ ასისთავ ღონგინთან, რომელსაც, ცხადია, არავითარი კავშირი არა აქვს ქართულ ტრადიციასთან, საგარაუდოდ, პიროვნებათა ადრევის მიზეზი

სახელების თანხედრის გარდა ისიც გახდებოდა, რომ წმინდა წერილში მაცხოვრის სამოსელს ჯარისკაცები ინაწილებენ. გვიანდელ სომხურ წყაროში, XII საუკუნის ისტორიკოსის მიქაელ სირიელის „ქრინკის“ XVIII საუკუნის თარგმანში ცრუ [? - ნ.კ.] ინტერპრეტაციის გამოძახილს წავაწყდებით“.

ამის შემდეგ ი. გუნიას მოჰყავს ნაწევრი გადმოცემა ასისთავ ღონგინზე და ანონიმ ლაზზე, რომელსაც ჩვენ უკვე ხეობით გავცევინათ და საბოლოოდ ასკენის: „მოტანილ მონაკვეთში კვართის დანაწილება სახარების ჩვენებას ეწინააღმდეგება და იგი ერთბაშად რამდენიმე საეკლესიო გადმოცემის უხეშ სინთეზს წარმოადგენს“.

ბატონ ი. გუნიას არ მოჰყავს ამ ნაწევრის გაგრძელება ნ. მაროს სტატიიდან: „...თუ თანდათანობით როგორ ავითარებდნენ და ასადაგებდნენ გარედან მიღებულ ლეგენდარულ სიუჟეტს აღმოსავლეთ საქართველოსთან...“ [იხ. ხაზგასმა - ნ.კ.], რომლიდანაც გამოსჭვივს ავტორის ხედავ ქრისტეს კვართის ბედთან დაკავშირებით.

აქვე მოვიტანო ამონარიდს მარი ბროსეს (1895, 36) წიგნიდან: „ელიოზ მცხეთელი, ელიაზარის გვარის, დედის მხრით დიდებულ მღვდელ-მთავრის ელიასის ჩამომავალი, წვიდა იერუსალიმს თანხლებით ღონგინოზ კარსნელისა ანუ სხვა მოწიბობთ ვინმე მეგრელისა ქუთაისიდან“.

საბოლოოდ ყველა ხეობით ჩამოთვლილ ციტატებს თუ გავითვალისწინებთ, საკვებით შესაძლებელია, რომ იერუსალიმში გამგზავრების და იქიდან კვართის მისვლების მთავარი პირი არის არა ელიოზ მცხეთელი და არც ღონგინოზ კარსნელი, არამედ ვიღაც მეგრელი ქუთაისიდან (სხვათა შორის, როგორც უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, წყაროებში მოცემული ურთიერთგანსხვავებული მონაცემების მიუხედავად, ელიოზ მცხეთელი, ანონიმი ლაზი ასისთავი და ვინმე მეგრელი ქუთაისიდან ჩვენ ერთი და იგივე პიროვნებად მიგვაჩნია) და ასე, რომ, კვართის განაწილება მოხდა სირიელ ღონგინისა და ლაზ ასისთავს (იგივე ელიოზს, იგივე ქუთაისელ მეგრელს) შორის.

კიდევ მეტი, სრულიად შესაძლებელია კავშირი დამყარდეს ქალაქ მაქსონსა (მოქსონსა) და მცხეთას შორის. ნიკო მარო ტომონიმ „მცხეთა“-ს შემდგომიერად წილდა: მესხეთა-ს მესხეთა-ს მცხეთა-ს. სუფიქსი „-ეთ-“ ტომონიმის მაწარმოებელია (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 186). ვფიქრობ, რომ მესხეთა და მაქსონი სიტყვების ფუძეები მესხ- და მაქს- ლინგვისტურად შესატყვისები არიან. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ კოლხებს ხშირად სირიელებსაც უწოდებდნენ და ამ ორი ეთნონიმით ხშირად ერთი და იგივე ხალხი მოიაზრებოდა, სრულიად შესაძლებელია, რომ ლაზ ასისთავსა და მაქსონელ ღონგინოზს უკან ერთი და იგივე პიროვნება იდგეს.

ამ მოსაზრებას ირიბად ადასტურებს ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული ვარაუდები ელიოზ მცხეთელისა და ღონგინოზ კარსნელის შესახებ, რომელთაც აქვე მოვიყვანო (ენციკლოპედიური ლექსიკონი 2002, 292): „ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ ანაქრონიზმზე, რომელსაც ადგილი აქვს „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ არსებულ ცნობაში ელიოზთან დაკავშირებით. კერძოდ „ცხოვრებაში ნათქვამია, რომ წმინდა ნინოს (IV ს.) თანამედროვე მღვდლის, აბიათარის ასული სიდონია ელიოზის შთამომავალია, კერძოდ ელიოზი სიდონიას მიერ დასახელებულია, როგორც მისი მამის დედის ძმა. ჯავახიშვილს ეჭვი შეაქვს თხზულების ამ ადგილის სისწორეში, რადგან მისი თქმით, შეუძლებელია, რომ სიდონიას (IV ს.) ბუბიის ძმა დასწრებოდა იესო ქრისტეს ჯვარცმას. ჯავახიშვილის დასკვნით, ელიოზს შეეძლო მხოლოდ II ს. გასულს ან III ს. დამდგეს ეცხოვრა და თუ ელიოზი სიდონიას ბუბიის ძმაა, იგი ჯვარცმას ვერ დაესწრებოდა და ვერც კვართს ჩამოიკიდებოდა. ჯავახიშვილს საეჭვო მიაჩნია ის ფაქტიც, რომ ელიოზმა სამ დღეში მოახერხა იერუსალიმიდან წერილის მიღება და იქ ჩასვლა. მისი აზრით, ელიოზის სწრაფი მიმოსვლა ზღაპრული გემრის მოგზაურობის მსგავსია. თხზულების ერთი ადგილის მიხედვით ჯავახიშვილი ასკენის, რომ თხრობა კვართის შესახებ წიგნიდან ამოკრეფილია და ამონაკითხისაგან არის შედგენილი“.

რაც შეეხება ღონგინოზ კარსნელს, მის შესახებ შემდეგს ვკითხულობთ ამავე ლექსიკონიდან (2002, 420): „მცხეთელი ებრაელი, ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, იგი ელიოზ მცხეთელთან ერთად ესწრებოდა იესო ქრისტეს ჯვარცმას იერუსალიმში, სწორედ მათ ერგოთ წილად ჯვარცმული იესო ქრისტეს კვართი, რომელიც მცხეთაში ჩამოაბრძანეს. ჯავახიშვილი ნაშრომში „ანდრია მოციქულის და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“ აღნიშნავს, რომ ქართულ საისტორიო მწერლობაში სამი სხვადასხვაგვარი თხრობაა კვართის მოტანის შესახებ, ერთი შეტანილია „ქართლის ცხოვრებაში“, მეორე — მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერის „ნინოს ცხოვრებაში“, მესამე კი — შატბერდისეული „წმ. ნინოს ცხოვრებაში“. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ პირველ თხრობაში კვართის მოტანებად ელიოზ მცხეთელი და ღონგინოზ კარსნელი არიან დასახელებულნი, მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ ღონგინოზი უცებ ჩნდება ამ თხრობაში და არც მისი ნათესაობისა და არც ჩამომავლობის შესახებ არაფერია ნათქვამი, ხოლო კვართის მოტანის შემდეგ იგი უცებ ქრება და მთელ მთხრობაში მასზე აღარაფერია ნათქვამი, მეცნიერებ აკეთებს დასკვნას, რომ ღონგინოზ კარსნელის პიროვნება საგანგებოდ არის დამატებული ამ თხრობაში შემთხვევითი მიერ, თქმულების სიმართლის დამტკიცების მიზნით. ჯავახიშვილის დაკვირვებით, არც მეორე და არც მესამე თხრობაში ავტორები ღონგინოზს არ ასახელებენ ელიოზის თანამოაზრედ ამ და სხვა არგუმენტებზე დაყრდნობით ჯავახიშვილი ასკენის, რომ თხრობა კვართის შესახებ წიგნიდან ამოწერილი და ამონაკითხისაგან არის შედგენილი“.

ამ ციტატებში, რომლებიც ირიბად ადასტურებენ ჩვენ მიერ ხეობით გამოთქმულ მოსაზრებებს, ივანე ჯავახიშვილს სრულიად ვეთანხმებით, გარდა იმისა, რომ იესო ქრისტეს კვართის ჩამოსვენებას საქართველოში (იბერიაში) სრულ ჰქმნა მარიტებად მივიჩნევთ. გარდა ამისა ქრისტეს პერიოდისათვის საქართველოს მთელი მოსახლეობა ერთ ენაზე, კოლხურ-იბერიულ ენაზე მეტყველებდა და პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა კვართი აღმოსავლეთ საქართველოში დაიფანება თუ დასავლეთში, თუმცა საკვებით სავარაუდებელია, რომ ის ზღვით, კერძოდ კი ფოთით (ფაზისით) შემოვიდა მაშინდელ იბერიაში, რადგანაც იმ პერიოდში ზღვით გადაადგილება უფრო ადვილი იყო, ვიდრე ხმელეთით. რაც შეეხება მცხეთაზე და აღმოსავლეთ საქართველოზე აქცენტის გაკეთებას, ეს უნდა მომხდარიყო მოგვიანებით.

კოლხები (იბერები), რომ ერთ-ერთი პირველი ქრისტიანები იყვნენ, ეს ჩანს მ. ჯანაშვილის (1906, 149) შემდეგ ციტატიდან: „მეგრელებმა პირველ საუკუნეშივე მიიღეს ქრისტიანობა“.

მოვიტანოთ ამონარიდი დენისა სუმბაძის (2011, 4) სტატიიდან, საიდანაც კიდევ უფრო რეალური ხდება ის მოსაზრებები, რომლებიც ხეობით იყო წარმოდგენილი: „ქართველი ერის ამ ყველაზე დიდი სიწმინდის (ქრისტეს კვართის) მფლობელობა ქართველი ებრაელების დამსახურებად არის მიჩნეული, რადგან მთელი ოჯახი იერუსალიმიდან ამ კვართის ჩამომტანი ელიოზისა ებრაელებად არის გამოცხადებული“.

აქაც დასკვნის ფორმით მოგახსენებთ მხოლოდ. სწორედ მეცნიერული არგუმენტაციითა და კვლევით აღმოჩნდა, რომ მცხეთელი ელიოზის ოჯახი, ისტორიულად დადასტურებული მოგვთა უბნის მკვიდრი მცხეთაში, უნდა წარმოადგენდეს ქართველ მოგვთა იმ ეზოთურული წრის ნაწილს, რომელთაც, მათეს სახარებით, პირველებმა სცეს თავყვანი პირველ შობილ უფალს. დაგვირდოდა ორი ათასი წელი ქრისტიანული ისტორიისა, რომ მიმხვდარიყავით მნიშვნელობას „ქართლის ცხოვრებაში“ გადარჩენილი სიტყვებისას, რომ კვართი უფლისა მცხეთელი მოგვების, ანუ მცხეთელი ქალდეველების მიერ იქნა ჩამოტანილი იერუსალიმიდან მცხეთას და არა მცხეთელი ებრაელების მიერ“.

ნუგზარ კვაშილავა (გაგრძელება იქნება)



# სრულნაკურები ბპარღაბი



ამას წინათ საკუთარი ლექსების წიგნი – "უფალი, დედა, სამშობლო" – მისახსოვრა ქალბატონმა ნანა გვინიამ. წიგნის შემუშავებაზე ამოტივტივებული ერთმა კუპლეტმა გარკვეული შთაბეჭდილება შე-

მიქმნა ნაწარმოების პათოსზე, მისი ავტორის სულისკვეთებაზე:

**"ამქვეყნიური ცხოვრება**

**არის ამო, ფუჭი,**

**თუ მას არ ახლავს დეთის რწმენა**

**და უფლის სიყვარული".**

მისი ბიოგრაფია კი ასე გამოიყურება. ნანული (ნანა) გვინია, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საზოგადო მოღვაწე, დაიბადა აბაშაში, 1948 წლის 21 მარტს. 1978 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრაზე კითხულობს ლექციებს. არის 50-მდე სამეცნიერო შრომის (მათ შორის 14 წიგნი) და 1000-ზე მეტი მხატვრული ნაწარმოების ავტორი. გამოქვეყნებული აქვს ლექსების 10 და ხატოვანი გამოთქმების ერთი კრებული.

მისი ლექსები თემატიურად მრავალფეროვანია, ლექსების ლაიტმოტივი დედისა და სამშობლოს დიდი სიყვარული და უფლისადმი ძლიერი რწმენაა. პოეტს დედისადმი მიძღვნილი აქვს 364 ლექსი, რაც უდავოდ რეკორდული რაოდენობაა.

**ანზორ აბრალავა,** მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: **"ქალბატონი ნანული მრავალმხრივი შემოქმედია. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მშო-**

ბლიურ აბაშის რაიონის სოფელ მაცხოვრისკარი (განათლებისკარი) აშენდა უფლისა ჩვენისა მაცხოვრის შობის ეკლესია. ასევე, მისი ინიციატივით სოფელს დაუბრუნდა ისტორიული სახელწოდება – მაცხოვრისკარი. ორი დირსეული ვაჟაკის ედუარდისა (იონანე) და გიორგის დედა (ორივე დოქტორები, ედუარდი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს, გიორგი ბიზნესმენია) ჩუმად, უხმაუროდ იღვწის ერისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ. არის სრულიად საქართველოს საზოგადოება "კოლხეთის" პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია "ქალღვას", საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა და "ფაზისის" საერთა-სამეცნიერო აკადემიების ნამდვილი წევრი – აკადემიკოსი, აბაშის საპატიო მოქალაქე, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი..."

ქალბატონი ნანას სრული ტიტულატურა შეიძლება ერთ გვერდზეც კი არ დაეტიოს, მაგრამ იგი არასოდეს მუშაობდა ტიტულებისათვის, მის მთავარ საზრუნავს ყოველთვის წარმოადგენდა უცალი, დედა და სამშობლო. სწორედ ეს ტიპიელი გამოსვლის მის სტრიქონებში:

ამ ქვეყნად ბევრი რამ არის ცვლადი, იცვლება ჟამი, დრო მიდის-მიდის. ქართველი უნდა იყოს ერთგული, ქართული გენის, ქართული მოღვმის!

მცირერიცხოვანი ერის ეს მარადიული სატიკივარი განსაკუთრებით აქტუალურია ახლა, როცა ფულით მოსული მტერი თანდათან გვაჭრის იმ მიწას, რომელსაც ხმლით ვერ გვაჭრიდა.

ქალბატონი ნანას პოეტურ ღირსებას დიდი სითბოთი და მოკრძალებით ეხმაურება ცნობილი ქართველი პოეტი, ქალბატონი **ბიძია აბშილაძე**:

"...მის შემოქმედებაში საპატიო ადგილი უჭირავს სამშობლოსა და შვილების სიყვარულს. სამშობლოს სიყვარული შვილების სიყვარულის ტოლფასია. ასეთია ნანული გვინია, როგორც შემოქმედის მრწამსი. მის ლექსებში ჭარბად ნახავთ მშვენიერ, გამართულ სტრიქონებს, რომლებსაც აზრთან ერთად არც სინატიფე აკლია და არც პოეტურობა..."

ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ოჯახურ ბედნიერებას და წარმატებებს ვუსურვებთ ქალბატონ ნანა გვინიას შრომით და შემოქმედებით ასპარეზზე!

## მიწაზე ფორთხვისთვის დაბადებული ვერ შესძლებს ფრენას! „ქარიშხალი“ მამსიმ ბორბი

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა მონა შემდგენაირად არის განმარტებული — 2. გადატ. სხვისი ნების უსიტყვოდ შემსრულებელი. სხვისი მორჩილი. („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“. 1986 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ენათმეცნიერების ინსტიტუტი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.)

სამწუხაროდ, საქართველოში ამ ჯურის სუბიექტებმა ძალიან იმრავლა იუდა შევარდნაძის საქართველოში მეორედ მოსვლის შემდეგ! და უფრო სავალალო ის არის, რომ მათი გარკვეული რაოდენობა არიან სახელმწიფოს მართვის მაღალ სტრუქტურებში, მათხეა გადაცემული ამ ჩვენი უბედური ქვეყნის ბედ-იბაღი! ვინაიდან ისინი გულმოდგინედ ეგვიპტის ფესქვეშ საზღვარგარეთელ „მეგობარ“ პატრონებს, მე მათ ვუწოდებ **სტომაქით მოაზროვნე „ფეხისუფალი“**! და ეს არარაობებიც ბრწყინვალედ ასრულებენ საქართველოსთვის საზიანო დავალებებს, როგორც არის ბრძოლა ყოველივე ქართულის, ტრადიციულის წინააღმდეგ! ასევე გააფორმებით ებრძვიან მართლმადიდებლობას! მათ ხომ გულით სძაგთ ყველაფერი წმინდა ქართული! ძალიან არიან მონღოლებული საქართველოში ერთ სქესიანთა-პიდარასტების გაჯეჯილებისათვის! ამიტომაც არიან სისხლ-

ორცეულად მოწადინებულები საქართველოს ნატოში და ევროკავშირში შესატრევად, რათა უფრო ადვილად შესძლონ საქართველოს განადგურება! ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრეთ საქართველოს მართვის სათავეში მოქცეულ უღღვრო სუბიექტებო(!), თუ ვინდათ ამისთანა სიბინძურეები მოახსოვთ საქართველოს თავს, ყველაფრის შესახებ კითხეთ ხალხს რეფერენდუმის მეშვეობით! მინდა მიემართო ყველას, ვინც იღტვის ყოველივე ქართულის და მართლმადიდებლობის ამოშანთვისათვის, კარგად დაიმახსოვრეთ და გაისივრძეგანეთ, რომ თქვენს ამგვარ მცდელობას განხორციელება არ უჭერია, და ის ვინც ეცდება ამის გაკეთებას, მას არ ასცდება ხალხის რისხვა უკუნიით უკუნიასამდე! მისი შთამომავლობა უფლის მიერ იქნება შეწვენილებული! ფრთხილად, ზღვარს არ გადახვიდეთ, თორემ მერე გვიანი იქნება! ვეღარ გიშველიან თქვენი საზღვარგარეთელი მფარველი ბატონები

ხარჯზე მიღებულ ხელფას-პრემია-დანამატებს და „გრანტებს“!

გეკითხებით „ქართული ოცნების“ მესვეურებს, ბ-ნი ბ. ივანიშვილის თამალობით: რას ფიქრობთ? ქართველი ხალხი და საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელმაც ხმა მოგვცათ და მოგივანათ ხელისუფლების სათავეში, იმდენად ჩლუნგია (ბოდიშს ვისხდი მათ წინაშე. ესე თქვენ ფიქრობთ, მე კი ვაფიქსირებ), რომ ვერ ხვდება თქვენს ქვეშევრდობას და უკეთურებას, მათ მიმართ და კიდევ მოგცემთ ხმას? არა ბატონებო! გვეყო რაც გვატყუეთ და გვატარეთ ცრუ დაპირებებით! კმარა! კიდევ დაგრძალო მცირედი დრო, რათა ხალხმა ბოლომდე არ გაგწიროთ და არ გაგიგდოთ ფეხქვეშ, რასაც გადურნა სააკაშვილი და მისი ბანდა! გონს მოეგეთ სანამ დროა! გაახილეთ თვალები და ქვეყნისაკენ მოიხედეთ! გეყოთ სხვისი ხელ-ფეხის შემეყრება და ლოკა! საქართველო იღუპება და მას შეველა


განსაკუთრებით აშშ – ელჩი?! შენი ქვეყნის მესვეურები მისი თითის ერთ აქნევაზე უმაღ „სმირნაზე“ დგებიან! თუ არა ვარ მართალი, მაშინ რა შეიძლება ეწოდოს ხიდაშელის და აგულაშვილის მინისტრობას, დავით აღმაშენებლისა და სტალინის ძეგლების თავის პირვანდელ ადგილზე დაუბრუნებლობას? კითხვები, სამწუხაროდ, ბევრია! მინდა მივმართო მავანთ-თქვენ თუ გნებავთ დაიჯერეთ ეს აბსურდი, ოღონდ ჩვენ თავზე ნუ გვახვევთ ამ ჩვენთვის მიუღებელს! აშშ-ს ელჩიან დაკავშირებით მინდა განსაკუთრებით ვისაუბრო. ცნობისათვის მინდა განაცხადო, რომ ამ „პატივცემული“ სუბიექტების მიერ საქართველოსადმი გამგდავებული მეტისმეტი „სიყვარული“ იმდენად აუტანელი ხდება, რომ მათ მიერ ყველა წერილმანში ცხვირის ჩაყოფა, უკვე ყოველგვარ ზღვარს სცილდება, ამ დროს ჩვენი ქვეყნის მესვეურები არიან გატრუნელები ძუძუს გოჭვივით და ისე ექცევიან, თითქოს ჩვენს ქვეყანას არ ეხებოდეს ყოველივე! მათდამი ორჯერ მქონდა ღია წრილი გამოქვეყნებული გახეთქები-„საქართველო და მსოფლიო“, 25–31 მარტი, 2009წ. ჯ. ტეფტი და „ილორი“, 5-12 ივლისი, 2011წ. ჯ. ბასი! რაც შეეხება დღევანდელ ელჩს, იგი ისევე გულმოდგინედ აგრძელებს თავისი წინამორბედების გზას და ისეთივე შემართებით ერევა ჩვენი ქვეყნის საქმეებში! აი თუნდაც მისი განცხადება „**რუსთავი-2**“-თან დაკავშირებით: „აშშ-ის საელჩო უაღრესად შეშფოთებულია „**რუსთავი 2**“-ის მართვასა და საკუთრებასთან დაკავშირებით შეუდამეს განვითარებული მოვლენებით... (დაინტერესებულ პირებს ელჩის განცხადებას შეუძლიათ სრულად გაეცნონ აშშ-ის საელჩოს ოფიციალურ ფეისბუქზე!“ რა ჰქვია ამას? ამას ეძახიან მავანნი ქვეყნის დამოუკიდებლობას? დიდი იღია ბრძანებს; „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!“ რომ არ გვეყუდნის, როგორ მოვიტყუოთ? დაგხაროთ თავი და გაგწმედეთ თუ ამოვიღოთ ხმა და დავაქუხოთ რისხვის ზარები? მგონი დროა ჩვენს თავს ჩვენვე მივხედოთ, თორემ ჩვენს საკეთილდღეო საქმეს სხვა არ გაგვიკეთებს! ეს უმჭკველია!!!

# მონები

და თქვენთან ერთად მათაც მოუწევთ კინწისკვრით აქედან გაყრა(!), განურჩევლად მათი ქვეყნის წარმომავლობისა და მათ მიერ აქ დაკავებული თანამდებობებისა! ჩემი ეს მიმართვა გეკუთვნით სხვის დულუკებზე მროკავსულით და ხორციით მეძაგებს, რომლებიც თბილად ხართ მოკალათებულები და თქვენვეთ საქართველოს გაუბედურების

უნდა! თუ არა და ხალხი მიხედავს თავის სამშობლოს, რომელიც თქვენ ჩალის ფასადაც არ გიღირთ!!! ქვეყანაში ადღადგინეთ სამართლიანობა, ნაწილობრივ მაინც, ხალხმა დაინახოს, რომ რაღაც მაინც გააკეთეთ! ამა წლის 8 ივნისს ტვ „იბერია“-ს გადაცემა „პროტირეტებში“, ქ-მა თ. ჩარკვიანმა ისეთი აგრესიული ტონით განაცხადა, რომ საქართველო მისი წარაფის ვერონტერაციისაკენ და არც გადაუხვევს ამ გზიდან, რომ გაუთვითცნობიერებელი მაყურებელი იფიქრებდა, თურმე საქართველო მიდის სამოთხისაკენ და ჩვენ, საქართველოს მოსახლეობა აზრზე არ ვყოფილვართ! ნუთუ ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანის ქალიშვილმა არ იცის, (ძალიან კარგადაც იცის, მაგრამ გაურკვეველია რატომ იცავს ნაცების მიერ გაკვალულ გზას ევროინტეგრაციისაკენ), მაშინ როდესაც აცხადებს-ცხრა წელიწადი ვებრძოდი ნაცების რეჟიმსო, და მე მჯერა მისი(!), რომ ის გზა, რომელიც დაისახეს ნაცებმა, არის გზა მხოლოდ **ღობტ-სკენ** მიმავალი, ევროპული გზა, რომელიც ჩვენ ქართველებს კატეგორიულად მიუღებლად მიგვანჩნია! დარწმუნებული ვარ, ასევე ფიქრობს ბატონი ჯანსუღი! რომ დღეს ევროპა ის ევროპა –ის თამრო– აღარ არის, რაც იყო მრავალი წლის წინად! ქალბატონი ჩარკვიანი იმაზე აღშფოთდა, როცა ბატონმა იური მეჩითოვმა სთქვა, რომ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა არ არისო, რაშიც სრულად ვეთანხმები! როგორ შეიძლება ქვეყანა დამოუკიდებელი იყოს, როცა შენი ქვეყნის (საშინაო საგარეო) საქმეებში „უპრაგონოდ“ ერევა უცხო ქვეყნის ნებისმიერი ელჩი, და

ქვეყნის მესვეურებო, მოთმინების ფილა ივსება! კიდევ გაფრთხილებთ, ფრთხილად, უფრო მეტად იფიქრეთ საქართველოზე და არა საკუთარ კეთილდღეობაზე. გეყოთ სხვის დულუკებზე როკა!!!  
ბ-ნო ბიძინა, თქვენს მიერ გამოქვეყნებულ წერილზე და „გაკეთებულ“(?) ანალიზებზე ცალკე მინდა ვესაუბროთ! თუმცა დარწმუნებული ვარ, როგორც სხვა წერილებს, ამ წერილსაც არ მოუშვებენ თქვენამდე!  
**თხემით ტერფამდე ჭეშმარიტი, მართლმადიდებელი ქართველი, ორი დაღუპული მეტროლის მამა,**  
**ანზორი დანელია**



საქართველო ერთდროულად სხელმწიფოა, რომელმაც აიღო პასუხისმგებლობა აფხაზური ენის შენარჩუნებაზე

საქართველოში უკვე ექვსი წელია ქართულ-აფხაზური ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი ფუნქციონირებს. აქ აფხაზური ენის შესწავლის მსურველებს, სტუდენტებს, მაგისტრებს, თავისუფალ მსმენელებს აცნობენ ამ ენის საფუძვლებს, გრამატიკის ელემენტარულ ნორმებს, ბგერების წარმოქმნის თავისებურებებს, რათა ამ ადამიანებმა საყოფაცხოვრებო დონეზე აფხაზურად საუბარი შეძლონ. ეს ცენტრი ამავე სახელწოდების არასამთავრობო ორგანიზაციის ბაზაზე დაფუძნდა. როგორია მოთხოვნა დღეს საქართველოში აფხაზური ენის შესწავლაზე, რა უნდა გაკეთდეს ამ ენის შენარჩუნება-განვითარებისთვის, გთავაზობთ საინფორმაციო სააგენტო „ლაიფსტეილი“-ს ინტერვიუს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უფროს სპეციალისტ მსმა პროფესორთან.

**– ვიცით, რომ ასწავლით აფხაზურ ენას როგორც სტუდენტებს, ასევე თავისუფალ მსმენელებს ერთ-ერთ ცენტრში. რატომ გადაწყვიტეთ ამ საქმისთვის მოგვიდათ ხელი?**

**მსმა პროფესორია:** თბილისში არსებობს ქართულ-აფხაზური ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომლის ხელმძღვანელიც არის ბატონი ზურაბ შენგელია. ცენტრი უკვე დიდი ხანია მუშაობს. მანამდე ეს იყო ამავე სახელწოდების არასამთავრობო ორგანიზაცია. გვეკონდა აფხაზურენოვანი რადიოც. ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩვენ ვატარებდით აფხაზური ენის კურსებს სხვადასხვა ორგანიზაციაში. ეს იყო „კავკასიის სახლი“, აფხაზეთის სტრუქტურები. მაგრამ ძალიან ბევრი პრობლემის წინაშე დაგვიკეთა აფხაზური ენის სირთულის გამო. მოგვსვენებდა, აფხაზური ენის გრამატიკა ძალიან რთულია, მით უმეტეს, რთულია აფხაზური ბგერების გამოთქმის სისტემა. ძირითადად ჩვენ ვიყენებდით სახელმძღვანელოებს, რომლებიც მომზადებულია აფხაზეთში და რომლებიც აფხაზური სკოლისთვის და აფხაზი ბავშვებისთვის იყო განკუთვნილი, რომლებმაც ასე თუ ისე, ენა იცოდნენ. ეს წიგნები არ იყო ადაპტირებული ქართველი ბავშვებისთვის, ქართველი მსმენელისთვის. ამიტომ, აფხაზური გრამატიკა, რომელიც ძალიან რთულია, აშინებდა ყველას, ვინც მოდიოდა ჩვენთან. მოდიოდა ძირითადად სტუდენტების თაობა. ამბობდნენ – „არა, ამას ჩვენ ვერ შევძლებთ“. სწორედ ამიტომ, გავეჩინა იდეა, გამოგვეცა სახელმძღვანელო, რომელიც გავეიმარტივებდა პრობლემას. დაიწყო ამ წიგნის გამოცემა ჩვენს ცენტრში. გამოიცა ზეპირმეტყველების წიგნი, გათვალისწინებული იმისთვის, რომ ადამიანი, რომელიც გაივლის ამ კურსს, ელემენტარულ სალაპარაკო ენას ისწავლის. გრამატიკა აქ მოცემულია ზუსტად იმ დონეზე, რომ იცოდნენ სწავლის მსურველმა, თუ რატომ უნდა თქვას ასე, და არა ისე. დღეს ეს კურსები

ტარდება უნივერსიტეტში კვირაში ორჯერ, მეორე კორპუსში, სადაც არის განთავსებული ჩვენი ცენტრიც. აქ ძირითადად მოდის ახალგაზრდა თაობა, სტუდენტები, მაგისტრანტები, რომლებსაც არ აქვთ არანაირი შეხება აფხაზურ ენასთან, მაგრამ დაინტერესებულნი არიან ამ ენის სწავლით. კურსი შედგება 36 გაკვეთილისგან. თითო გაკვეთილს მოჰყვება თავისი აუდიოფერისა, რომელიც დისკზეა ჩაწერილი. იმ მასალას, რომელსაც გაივლით, ადამიანს შეუძლია სახლში მოუსმინოს, კიდევ ერთხელ გაიგოს, თუ როგორ გამოთქვას ეს ყველაფერი და ამის საფუძველზე ელემენტარული ცოდნა მიიღოს.

**– როგორ ითვისებენ ენას? რამდენად მარტივია ეს პროცესი მათთვის?**

**მსმა პროფესორია:** თვითონ კურსი ძალიან მარტივად და გასაგებად არის შედგენილი. ეს არის სახელმძღვანელოს აფხაზურ-ქართული ვერსია. მსგავსი ანალოგი არ არსებობდა ადრე ქართველი ახალგაზრდებისთვის. არის წიგნი, თემურაზ გვანცვლაძეს აქვს აფხაზური ენის ძალიან კარგი წიგნები, მაგრამ ისინი ძირითადად აგებულია გრამატიკულ საფუძვლებზე, ანუ ეს არის სასწავლო ნიმუში იმ ადამიანებისთვის, ვინც სწავლობს აფხაზურს მეცნიერული კუთხით. მან დაწერა საკმაოდ რთული ენით. მსურველი, რომელიც მოდის და უნდა, რომ დაიწყო აფხაზურად ლაპარაკი, მისთვის რთულია ამ სახელმძღვანელოთი სწავლა. იქ ყველაფერი დაწერილია სუფთა სამეცნიერო ენით აფხაზური ენის სტრუქტურის, გრამატიკის, ფონეტიკის და ყველა კომპონენტის შესახებ. ამიტომ, ამ წიგნით ბავშვებისთვის რთული იყო სწავლა. გამოვიცი უფრო მარტივი. მას ასევე ქვია – აფხაზური მეტყველების სახელმძღვანელო.

**– ამ სახელმძღვანელოს შექმნა თუ არის შესაძლებელი დაინტერესებული ადამიანებისთვის?**

**მსმა პროფესორია:** ეს პროექტის ფარგლებში გამოცემული წიგნებია. ისინი არ იყიდება მაღაზიებში. მსურველებს შეუძლიათ მოვიდნენ ჩვენთან ცენტრში. ჩვენს მსმენელებს უფასოდ ვაძლევთ. იყო რამდენიმე მოთხოვნა ზუგდიდის, ბათუმის სკოლებიდან, მაგრამ ამჟამად ჩვენ იმ რაოდენობით არ გვაქვს წიგნები, რომ მივცეთ. თუ ისეთი მოთხოვნა იქნება, შეგვიძლია გადმოვაკოპიროთ და დავარიგოთ.

**– როგორია მოთხოვნა აფხაზური ენის შესწავლაზე საქართველოში?**

**მსმა პროფესორია:** თავიდან, როცა დაიწყო, მსურველი ძალიან ბევრი იყო. შევქმნიდი ჯგუფს, მოდიოდა 20 ადამიანი. მაგრამ, როცა ვიწყებდით მუშაობას, ნახავდნენ აფხაზურ ასოებს, ალფაბეტს, თანდათანობით ვიწყებდით საუბარს, გრამატიკის შესწავლას, ძალიან ბევრს შეეშინდა. ნაწილი მიიღო, ნაწილი რჩებოდა. ახალი სახელმძღვანელოს პირობებში,

პრაქტიკულად ვინც დაიწყო, ყველა აგრძელებს. აინტერესებთ, რადგან რეალურ შედეგს ხედავენ. ისინი ნელ-ნელა იწყებენ აფხაზურად საუბარს ბევრი სირთულის გარეშე. ეს სახელმძღვანელო სწორედ იმისთვის არის განსაზღვრული, რომ ადამიანმა ისწავლოს ელემენტარული სასაუბრო – „შენ რა გქვია“, „რას შერები“, „რას საქმიანობ“, „სად ცხოვრობ“ და ასე შემდეგ. ეს არის საყოფაცხოვრებო სასაუბრო.

**– როცა თქვენს ცენტრში მოდიან, გეუბნებიან რაში სჭირდებათ აფხაზურის სწავლა, რისთვის გამოიყენებენ?**

**მსმა პროფესორია:** მე მაგალითად მკავს მაგისტრი, რომელიც იურისტია სპეციალობით, მაგრამ სამი ენა უკვე იცის – ინგლისური, ფრანგული და რუსული. ენების მიმართ აქვს ინტერესი. აფხაზური ენა აინტერესებს, როგორც ფენომენი. ამ დროს ნელ-ნელა დაიწყო ურთიერთობა აფხაზეთთან ინტერნეტით. შედის ფორუმებზე, ორსამ ფრაზას წერს აფხაზურად და ძალიან უხარია. იქიდანაც მოდის პოზიტიური რეაქცია. თავიდან მათ უკვირთ, მე რეაქციითა და ეხმარებიან, რომ აქ ვიღაც სწავლობს აფხაზურ ენას. არიან ბავშვები შერეული ოჯახებიდან. ზოგს დედა ჰყავს აფხაზი და აინტერესებთ დედის ენა.

**– თქვენ ალბათ ჩადიხართ აფხაზეთში. თუ აქვთ მათ ინფორმაცია, რომ საქართველოში, კერძოდ თბილისში ასეთი ცენტრი არსებობს, სადაც თუნდაც ელემენტარულ დონეზე არის შესაძლებელი აფხაზური ენის შესწავლა?**

**მსმა პროფესორია:** რა თქმა უნდა იცინა. აქ, ამ ცენტრში მე თვითონ ვასწავლი, ამიტომ ვუყვები მათ ამის შესახებ. ეს სახელმძღვანელო იქაც განვიტანეთ, ვუჩვენეთ, დავარედაქტირეთ. ვერ ხომ არ არის, რომ ჩვენ ჩვენი ნებით ავიღეთ, დავწერეთ და ამოგვუტანეთ. მათ იცინა, რომ ვასწავლით აფხაზურ ენას. როგორ შეიძლება ამის მიმართ ცუდი დამოკიდებულება ქონდეთ? რა თქმა უნდა აქვთ კარგი დამოკიდებულება.

**– აფხაზური საქართველოში მეორე სახელმწიფო ენაა. როგორ ფიქრობთ, რა უნდა გაკეთდეს ამ ენის განვითარების ხელშეწყობად?**

**მსმა პროფესორია:** ენის პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას აფხაზეთში. იქაც დიდი საშიშროების წინაშე დგას ეს ენა და საზოგადოება ძალიან კარგად ხვდება ამას. იქ არსებობს აფხაზური ენის განვითარების ფონდი, რომელიც აქტიურად მუშაობს ამ პრობლემაზე. ცდილობს გააკეთოს რაღაც მისი შესაძლებლობების ფარგლებში, ჩარჩოებში. მოგვსვენებდა, მიდის ასიმილაციის პროცესი რუსულ ენასთან. აფხაზები ამას გრძობენ და ნათლად ხედავენ. იქაც შექმნილია უამრავი ფონდი აფხაზური ენის განვითარებისთვის და ძალიან კარგად მუშაობენ. მაგრამ აქ რა უნდა გავაკეთოთ? მე ვფიქრობ, ერთდროულად, რაც შეიძლება ჩვენ გავაკეთოთ, უნდა

ვანგენოთ და დავარწმუნოთ ისინი იმაში, რომ საქართველო დედამიწის ზურგზე ერთდროულად სახელმწიფოა, რომელმაც აიღო პასუხისმგებლობა აფხაზური ენის შენარჩუნებაზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი, რადგან ამ ენას ჩვენ მივანიჭეთ სახელმწიფო ენის სტატუსი, ესე იგი, საკუთარ თავზე ავიღეთ პასუხისმგებლობა, რომ ეს ენა შენარჩუნდეს. როგორ უნდა შენარჩუნდეს და განვითარდეს, ეს ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ ადგილზე იმის ფარგლებში, თუ რისი გაკეთება შეიძლება. რომ ვითხრათ, ძალიან ბევრი სპეციალიტი გვყავს აფხაზური ენის, ბევრი მეცნიერი, რომლებსაც შეუძლიათ ვთქვათ დასხდნენ და მეცნიერულ დონეზე რაღაც გააკეთონ, მოგატყუებთ. თითზე ჩამოსათვლელი გვყავს ისეთი ადამიანები, რომლებიც ამის გაკეთებას შეძლებენ. ყველამ ერთად უნდა ვეცადოთ, ხელი შევეწყუთ ამ ენის განვითარებას და გავრცელებას იმ დონეზე, რა დონეზეც შესაძლებელია. მოდით შემოვიდეთ თუნდაც ფაკულტატის დონეზე სკოლებში, ბავშვებს შევთავაზოთ. ეს ხომ შესაძლებელია? რატომ მარტო ზუგდიდში და რატომ მარტო აჭარაში, სადაც დაახლოებით 300 აფხაზი ცხოვრობს? რატომ არა თბილისში? თქვენ გესმით რაშია პრობლემა? პრობლემა იმაშია, რომ სკოლის მოსწავლეს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ენას მოასმენინებ, იცის, არ იცის, მაინც მიხვდება, თუ რა ენაზეა საუბარი. არც მე არ ვიცი ფრანგული ენა, მაგრამ რომ გავიგებ ფრანგულ საუბარს, ვხვდები, რომ ეს არის ფრანგული. ნებისმიერი ენის, იქნება ეს არაბული, იაპონური ან სხვა, ახალგაზრდობას შეუძლია მათი გარჩევა. როცა თავიდან ჩვენთან მოსულ ახალგაზრდებს მივეცი არაბული, თურქული, აფხაზური, ისინი ვერც კი მიხვდნენ, რომ ეს აფხაზური ენაა. ეს პრობლემაა, ეს ტრაგედიაა, იმიტომ, რომ ჩვენ საუკუნეების განმავლობაში ვცხოვრობდით ერთად, ქვეყანაში არის სამასი ათასი დევნილი, ისინი, რომლებიც ამ ენის გარეშე იმის გამოხარდნენ. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეს ენა არ იყოს უცხო, რომ ყურს უცხოდ არ ხვდებოდეს, არ მიიღონ ის, როგორც რაღაც კოსმიური, გაუგებარი და მიუწვდომელი. ეს უნდა დაიწყოთ სულ თავიდან, სკოლიდან, ნელ-ნელა. იმ სახელმძღვანელოებიდან, რომლებიც ჩვენ გვაქვს, უნდა შევთავაზოთ და არა საავადმყოფო იყოს, რადგან არ შეგვიძლია განათლების სამინისტროში მივიდეთ და ვუთხრათ – გინდათ თუ არა ჩასვით პროგრამაში. ჩვენ შეგვიძლია შევთავაზოთ, რომ ფაკულტატის დონეზე მაინც დაინერგოს სკოლაში. კი ბატონო, ვისაც უნდა დაიწყოთ სწავლას. ასე ნელ-ნელა რომ დაიწყოთ და იმ მხარეს ვანგენოთ, რომ დაინტერესებულნი ვართ ეს ენა შენარჩუნდეს, იქნება ჩვენი დიდი მიღწევა.

6060 თოლორია

ტრაგედია, რომელმაც ძველანა შიშრა

(მაღალი ხმით დანატირები)



ნეტავ არ გამეო! მოწმენდილ ცაზე მეხვიოთ გავარდა – თინა გადადგა! მორჩა, დასრულდა! ჩაწყდა და განითხსა პოლიტიკურ საიქიოში, თითქოს არც მოსულა და არც წასულა, ის ხომ იქ იყო რენეკარნაციამდე

და იქვე დარჩება ვიდრე ამას ყოვლისშემძლე დიდი იანი (კელი) ისურვებს, განერიდა სააკაოს და რაღაც უსიამოვნო ჩაიღვარა სულში...

არასოდეს დაგავიწყდება შენი ისტორიული ფრაზა „– კოპაბიტაცია საზოგადოებამ დაგვიკეთა“-ო.“ან ის რად ღირდა, საკრალური შეკითხვა რომ დასვე: “თოფაძე კიდევ პარლამენტარიაო”?

– აწი ვინ დაგვმოძღვრავს, ვინ გვასწავლის ჭეშმარიტი დემოკრატიის ღირებულებებს, ან იმას, რომ საკუთარი შვილი ჯარში არ უნდა გაუშვათ, სხვებმა კი, თუ სურვილი არ ექნებათ, ჯარში არაფერი ესაქმებათ!

იცოდი, რომ მარტოსულად შეძლებდი მტრებით შემოჯარული სამშობლოს დაცვას და ამიტომ არ გჭირდებოდა ჯარისკაცების დახმარება!

ახლა კი, რა ექნათ, რა წყალს ჰვცემთ თავით? არა, არ მჯერა... მეც წამიყვანე შენთან... შენ იყავი მაგალითი იმის, თუ როგორი

უნდა იყოს ნამდვილი ქართველი ქალი მინისტრი, მუნდირწამოსხმული, სიცივეს შეჭიდებული, წვიმისა და მუხის გამძლე! შენი თანამდებობიდან გადადგომა რომ გაიგო, შეგებით ამოისუნთქა დიდმა რუსეთმა, რადგან შენი სტრატეგიული აზროვნებისა და მუდამ იღუმალებით მოსილი ტაქტიკური წიაღსვლების პანიკური შიში ჰქონდა. ახლახან გახდა ცნობილი, რომ შენი გადადგომის დღე რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის წარდგენით, დუშამი ეროვნულ დღესასწაულად და უქმედ გამოაცხადა, ამერიკელებმა კი, პირიქით – სამდღიანი გლოვა გამოაცხადეს!

წყალში ჩაუყარე იმედი ამერიკელებს, რადგან სახელმწიფო დეპარტამენტს დიდი იმედი ჰქონდა, რომ შენი ძალისხმევით დაამსობდა რუსეთს.

რომის მემატიანენი გადმოგვეცემენ, რომ იმპერატორ სევერუსის სიკვდილის შემდეგ რომმა გამოაცხადა დევიზი: “სევერუს, შენ ან არ უნდა დაბადებულიყავი, ან არ უნდა მომეკვდარიყავი!” შინე, ჩვენო თინიკო, იმ სიშვერსისა

არ იყო, ან არ უნდა დათანხმებულიყავი თავდაცვის მინისტრობას, ან ასე უპატრონოდ არ უნდა დაბატონებულიყავი თული ჯარი და სრულიად სამართლებლო.

წარმოგიდგენია, რა დეღამა უტრიალებს სულში ამერიკის ელჩს, საქართველოს “დიდ მოურავს” იან კელის და სახელმწიფოებრივი მსახურეებს!

ქვეყნის ისტორიაში პირველმა შენ დაამსხვრე სტერეოტიპი, რომ ქალი სუსტია, შორს გაიტანე, შორს, ქვეყნის სახელი და უკვე შარავანდით გასხვიოსნებულმა საუკუნოდ გადაინაცვლე პოლიტიკურ საიქიოში, სადაც შენი სულიერი ძმები – ლევან და დავით ბერძენიშვილები ჩირადნებით დაგხვდებიან და გაგინათებენ პოლიტიკურ უკუნეთს...

შენზეა ხელგამოჭრილი ხალხური გამოთქმა – “აქაც კარგი ქალი იყავ, იქ ნათელი დაგადგესა.”

– აბა შენ იცი, თინას მიგვიხედე ლევან... მარადმუხამს თქვენი გულდამწვარი ჭირისუფალი...





# ჯაბა ხუბუა: აბუ-გრიბი ქართულად — სანდრას მანქანა



ქალთა კოლონიას სადიაგნოსტიკო სპეციალისტი რომ მიადგებოდა, პატიმარ ქალბატონებს შიშის კანკალი ეწყებოდათ! სიკვდილის ზარის ჩამორეკვის ჰგავდა ციხის ტერიტორიაზე ამ სპეციალისტის გამოჩენა.

მას პატიმარმა ქალბატონებმა „სანდრას მანქანა“ შეარქვეს!

იმიტომ, რომ პატიმარი ქალბატონებისათვის მკერდისა და საშვილოსნოს გამოკვლევა, აგრეთვე ტუბერკულოზის, C ჰეპატიტისა თუ სხვა დაავადებათა დიაგნოსტიკა სააკაშვილის ციხის, საქართველოს იმპაზინდელი პირველი ლევის სანდრა რულოვის პატრონაჟით ხდებოდა.

რატომ ჰკვირდა პატიმარ ქალბატონებს შიშის ზარს კოლონიაში „სანდრას მანქანის“ შემოსრიალება?

რატომ არ იყო ციხეში გამოკვლილი მანდილოსნებისთვის „სანდრას მანქანის“ დანახვა იმედის სხივის აკაფება მრუშე და დამორჩენულ გარემოში, სადაც ადამიანი სულისა და სხეულის გადასარჩენად სულ უმცირეს შანსსაც კი ბოლომდე ებღაუჭება?

რატომ არ უხაროდ მორალურ და ყოფით გასაჭირში ჩაცვივნილ ქალებს უფასო სამედიცინო გამოკვლევის ჩატარება და, საჭიროების შემთხვევაში, უფასო მკურნალობა თუ ოპერაცია?

იმიტომ, რომ ნაციონალური ფაშიზმის ფიურერს მიხედვით სააკაშვილს ქართული ციხე-კოლონიები ქართულ აბუ-გრებიად ჰქონდა გადაქცეული!

იმიტომ, რომ სანდრა რულოვის სააკაშვილის მხოლოდ თანამეცხედრე კი არა, თანამზრახველიც იყო!

იმიტომ, რომ „სანდრას მანქანა“ სამედიცინო დახმარების მანქანა არ იყო!

„სანდრას მანქანა“ „სიკვდილის მანქანა“ იყო!

პატიმარ ქალბატონებს „სანდრას მანქანის“ სიკვდილით ეშინოდათ!

რომელიმე პატიმარ ქალბატონის ფრხხილიც რომ წამოსტკივობდა, ციხის ექიმები მაშინვე ხელს დასტაცებდნენ და საოპერაციოდ მარბენინებდნენ.

რაიმე პრეპარატს კი არ აძლევდნენ! მკურნალობას კი არ უნიშნავდნენ!

პიდა — პირდაპირ საოპერაციოში გაპრიალებული სკალპელი და მისი ჯანი!

და ცოტა ხანში პატიმარ ქალს აღარ ჰქონდა საშვილოსნო!

ზოგს აღარ ჰქონდა თირკმელი!  
ზოგს აღარ ჰქონდა ფილტვები!  
და ა.შ.

პო, რაც მთავარია — აღარ ჰქონდათ სრულიად ჯანმრთელი საშვილოსნო, სრულიად ჯანმრთელი ფილტვი, სრულიად ჯანმრთელი თირკმელი!

ეს არ იყო ქირურგიული ოპერაცია, ეს იყო ოპერაცია, კოლდური სახელწოდებით — „მფატრავი“!

ამიტომაც ეშინოდათ პატიმარ ქალბატონებს „სანდრას მანქანის“ გამოჩენის!

კოლონიის ტერიტორიაზე „სანდრას მანქანის“ ერთ გამოჩენა რამდენიმე პატიმარი ქალისთვის ამა თუ იმ შინაგან ორგანოსთან დამჭიდრობების „ეკვივალებური“ იყო!

ყოფილმა პატიმარმა ხათუნა ჯანაშვილმა 2013 წელს ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში გაიხსენა:

„არანაირი მკურნალობა არ ხდებოდა და ყველა ქალი, ვისაც მცირე ჩივილი ჰქონდა, საოპერაციოდ გაჰყავდათ. გასულ ზაფხულს კოლონიაში სადიაგნოსტიკო მანქანა მოიყვანეს, რომელსაც „სანდრას მანქანა“ ვეძახდით. დაიწყო მკერდის და საშვილოსნოს გამოკვლევა. 700 ქალიდან 400-ს „დაუდგინეს“, რომ სასწრაფოდ საშვილოსნოს ამოკვეთა ესაჭიროებოდა. მათ შორის სრულიად ახალგაზრდებიც იყვნენ, რომლებიც შვილის გაჩენაზე ოცნებობდნენ. თითქმის ყველა ნაოპერაციებ ქალს ჭრილობა გაურთულდა“.

ძვირფასო მითხველო, შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, რომ ერთი ქალთა კოლონიის 700 პატიმრიდან 400-ს ერთდროულად აღმოაჩნდა საშვილოსნოს დაავადება, თანაც ისეთი, რომ 400-ეც სასწრაფოდ დასჭირდა შინაგანი ორგანოს ამოკვეთა?!

ეს სრულიად წარმოუდგენელი და არარეალური!

თუმცა, სრულიად ცხადად წარმოსადგენი და რეალური, როცა „დიაგნოზს“ „სანდრას მანქანა“ სვამს!

## „სანდრას მანქანა“ — „სიკვდილის მანქანა“!

ისევ ყოფილ პატიმარ ხათუნა ჯანაშვილს მოვუხსინათ:

„წარმოიდგინეთ, ციხეში, ჩაკეტილ ხის ტუმბოში გუებნებიან, რომ სიმსივნე გვტრის და სასწრაფოდ საოპერაციო ხარ, რომ ციხის გარეთ ეს ოპერაცია 3-4 ათასი ლარი დაგიჯდება. ამ დროს პატიმარი პანიკაში ვადავლებ. ზოგს საოპერაციო თანხა არც დაეხმარება, ამიტომ ფიქრობენ — მოდი, აქ უფასოდ გავიკეთებ და მოვიშორებ“.

თავიდან ხათუნა ჯანაშვილს ციხის მთავარი ექიმი თუა ჭინჭარაული დაუნიშნით უმტკიცებდა — ონკოლოგიური ავადმყოფი ხარ და ფილტვის ბიოფსია გესაჭიროებაო.

პატიმარ ქალს ქართული აბუ-გრების თეთრხალათიანი ჯალათები 6 თვის განმავლობაში ჩასწინებდნენ — „კიბო გაქვს“ ცდლობდნენ, დაერწმუნებინათ, რომ თუ ოპერაციას არ გაუკეთებდნენ, მოკვდებოდა.

ხათუნა ჯანაშვილმა ფსიქოლოგიურ

ტერორს გაუძლო და იმდენსაც მიადწია, რომ გამოსაკვლევად ონკოლოგიურ საავადმყოფოში წაყვანათ.

პროფესორებს გაოცებისგან ება ჩამოუვარდათ — ვინ დაგისვით ასეთი დიაგნოზი? არანაირი სიმსივნე არ გაქვთ და არც ფილტვის ბიოფსია გჭირდებათ! — უთხრეს პატიმარ ქალბატონს!

ხათუნა ჯანაშვილს ქართული აბუ-გრების თეთრხალათიანი ჯალათებისთვის რომ დაეჯერებინა და ის ოპერაცია გაეკეთებინა, 9 თვეზე მეტს ვერ იცოცხლებდა!

ეს მას ონკოლოგიური კლინიკის პროფესორებმა პირდაპირ უთხრეს!

თანაც, უთხრეს არა ზეპირად, არამედ შესაბამისი ოქმიც შეუდგინეს!

ნაციონალური ფაშიზმი ქართულ აბუ-გრების მიმართ პატიმრებს აწამებდა, აუპატიურებდა, ტუბერკულოზითა თუ C ჰეპატიტით გამოიზულად აავადებდა და ჯანმრთელობას უნადგურებდა.

მალიან ბევრი ქართველი კაცი, ვინც ქართული აბუ-გრებიდან ცოცხლად გადარჩა, ჯანმრთელობის თვალსაზრისით — ფიზიკურად, მორალურად და ფსიქოლოგიურად — ნახევარ კაცად არის ქცეული!

ეს არის, ფაქტობრივად, განადგურებული და სამარადულად მწყობრიდან გამოყვანილი გენოფონდი!

და როცა ქართული აბუ-გრების ჯალათები მამაკაც პატიმრებს „ამუშავედნენ“, „სანდრას მანქანა“ ქალთა საპატიმრო დაწესებულებებში „გუზუნებდა“.

დაუძლეველ ქართულ კაცებს და საშვილოსნომოკრილი ქართველი ქალები! — ეს არის ნამდვილი გენოციდი, რომელიც ნაციონალურმა ფაშიზმმა ჩვენს ერს მოუწყო!

პოლკოვნიკ ქეთევან ზარნაძეს, რომელმაც ქართულ აბუ-გრების ნაციონალური ფაშიზმის მიერ მოწყობილი ჯოჯოხეთი გამოიარა, ციხეში ყოფნისას ტუბერკულოზის უმძიმესი ფორმა „დაუდგინეს“ და ფილტვის კბოც „აღმოუჩინეს“.

აძალებდნენ, ვინდა თუ არა, ოპერაცია გაიკეთე, თორემ შენი დღეები დათვლილიაო.

ქალბატონმა ზარნაძემ, რომელმაც კარგად იცოდა, რა პრინციპით მუშაობდა „სანდრას მანქანა“, ოპერაციის გაკეთებაზე და ციხის ექიმების მიერ შეთავაზებული მედიკამენტების მიღებაზეც უარი თქვა.

შემდგომში დადასტურდა, რომ მას არც ტუბერკულოზი ჰქონდა და არც სიმსივნე ჰქონდა!

ქეთევან ზარნაძე, რომელიც სრულიად ჯანმრთელია, 2014 წელს გახუთ „სასაგლდასავლისთვის“ მიცემულ ინტერვიუში იტყვის:

„ქალებს მასობრივად დააჭრეს საკვერცხეები და საშვილოსნოები. არაფერი იცის, რისთვის სჭირდებოდათ, რომელ გველეშაპს ეგებებდნენ? გაჩნდა ეჭვები, რომ პატიმრების ამოკვეთილი ორგანოებს, გარკვეულ პრეპარატებს დასამზადებლად იყენებდნენ. იმავდროულად, პატიმრებს იყენებდნენ, როგორც საცდელ ცხოველებს,

რათა უცხოეთში შექმნილი მეთოდები და პრეპარატები ცოცხალ ადამიანებზე გამოეცადათ. თითოეულ ოპერაციაზე საკმაოდ დიდი თანხები იყო გაწერილი და რაც მეტ ოპერაციას ევაკუთებდნენ, მით მეტი ფული დარჩებოდათ. აი, ამ დანაშაულგებრივი პირამიდის სათავეში იდგა სანდრა რულოვის“.

„სანდრას მანქანას“ სააკაშვილი „საწვავს“ არ აკლავდა — ქართველ აბუ-გრების პატიმრებით ავსებდა და ავსებდა!

რაც მეტ ადამიანს — კაცსა თუ ქალს — შეყრიდა ციხეში ნაციონალური ფაშიზმი, მით უფრო იზრდებოდა და ფართოვდებოდა „სანდრას მანქანის“ სამიზნე „აუდიტორია“.

ჩვენი მკითხველისთვის ცნობილია, რომ ციხის მორგში გვამების გამკვეთად მუშაობდა ვინმე „სომეხა“ — უთვითნომო ნაკაცარი, რომელიც ცხედრებს შინაგან ორგანოებს აცლიდა და მათ ადგილას ჭინჭებს ტყენდა, რათა ექსპერტიზას პატიმრის დასჯის რეალური მიზეზი ვეღარ დაეღვიწა.

ამ მორგში, სადაც „სომეხა“ ცხედრებს ფატრავდა, სანდრა რულოვისც არაერთხელ შეამჩნიეს.

ნაციონალური ფაშიზმის ყოფილი პოლიტპატიმარი, ცნობილი მეტაფიზიკოსი მალხაზ გველეშაპივილი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს:

„ციხეში იმასაც ვხედავდი, როგორ შემოდებოდა კვირაში ორჯერ მაინც სანდრა რულოვის დაწესებულებაში, კონკრეტულად — მორგში. ჰქონდა სანდრა რულოვის, რა უნდოდა მორგში, სადაც „სომეხა“ კვეთდა ხალხს. ნახონ ის მიცვალებულები, რომლებიც დაასაფლავეს და შეიტყუებენ, რა უნდოდა იქ სანდრა რულოვისს. ამბობდნენ, რომ მიცვალებულ პატიმრებს ორგანოებს აჭრიდნენ. დასკვნები პროკურატურამ და გამოძიებამ გამოიტანონ“.

პროკურატურას ლეთარჯიული ძილისთვის მიუცია თავი.

„სანდრას მანქანა“ დღემდე არავის გადაუყვანია „საჯარმო სადგომზე“.

ამიტომაც არის, რომ სანდრა, „ნაციონალური მოძრაობასთან“ ერთად, აქტიურ საარჩევნო კამპანიაშია ჩართული და თავისი ქმრის დაბრუნებასაც პროგნოზირებს!

სანდრას უნდა, რომ საქართველოში ნაციონალური ფაშიზმი დაბრუნდეს!

სანდრას უნდა, რომ „სანდრას მანქანა“ კვლავ ძველებური დატვირთვით იმუშაოს!

სანდრა არასოდეს ყოფილა საქართველოს პირველი ლედი, იგი ყოველთვის ნაციონალური ფაშიზმის პატარძალი იყო!

ახლაც ის არის!

თუმცა, „სანდრას მანქანა“ დროის მანქანა არ არის — საქართველოს ნაციონალური ფაშიზმის დროში ვერ დააბრუნებს!

ამას ქართველი ხალხი აღარასოდეს დაუშვებს!

ჯაბა ხუბუა

## „დაუშვებელია, საქველმოქმედო ფონდმა მხოლოდ 27% დახარჯოს ძველმოქმედებაზე“

„იანანას“ ფონდიდან ფინანსების არამიზნობრივ ხარჯვაზე „პრაიმიტივი“ ეკონომიკურ მეცნიერებთა დოქტორს, პროფესორ ნიკოლოზ ბაკაშვილს ესაუბრა.

— გაუშიფრავი თანხები, 73%, ჩვენში კითხვებს ზადებს. ფიქრობთ, რომ ეს დეგიტიზური კითხვებია?

— კითხვები უდავოდ ლეგიტიმურია. გამომდინარე იქიდან, რომ საქველმოქმედო ფონდებს გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტი მოეთხოვებათ. ფონდი ვალდებულია, თითოეული თეთრის მოძრაობა გამოაქვეყნოს იმის საჩვენებლად, რა გააკეთდა მიზნის მისაღწევად. ფონდი გარკვეული საწესდებო მიზნებით იქმნება და რამდენად შეესაბამება დანახარჯების თითოეული თეთრი ამ საწესდებო მიზნებს, აუცილებლად გაშლილი და ცალსახად გამჭვირვალე უნდა იყოს. ჩემთვის, როგორც სპეციალისტისთვის, გაუგებარია „სხვა ხარჯები“ რა შეიძლება მოიაზრებოდეს.

— რამდენად სწორია, რომ კომერციული და საქველმოქმედო ანგარიშები ერთად დათავსებული, მით უფრო, რომ ეს თანხები ქველმოქმედებაში არ მონაწილეობს...

— ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული თანხებიც ქველმოქმედებისთვის უნდა იყოს დახარჯული. ეს არის საქველმოქმედო ფონდის არსი. მას არც აქვს

უფლება, მოგება სხვა მიზნებისთვის გამოიყენოს, გარდა ქველმოქმედებისა.

— დოკუმენტებზე მუშაობისას იყო ინფორმაცია, რომელიც ცხრილებში იყო მოცემული და ციფრები, რომლებსაც ახსნა-განმარტებით წერილებში მივაგავით... ტექსტების ციფრებიდან უფრო ვიხელებდვანდეთ.

— სხვათა შორის, ამ ბალანსებსა და დეკლარაციებს, რომლებიც შემოსავლების სამსახურშია წარდგენილი, და მათივე მომზადებულ ახსნა-განმარტებით ბარათებში მოცემულ ციფრებს შორის არის აცდენა, ზოგიერთი ციფრი ერთმანეთს არ ემთხვევა. არის ცდომილებები როგორც შემოსავლების, ისე ხარჯვის ნაწილში.

— თქვენ დოკუმენტებს გადახედეთ, თუ ნახეთ რამე ისეთი, რომელიც პროფესიონალისთვის თვალშისაცემია?

— რამდენიმე დასკვნა გაკეთებულია ერთი და იმავე აუდიტის მიერ. დასკვნაში არაფერია ნათქვამი, რამდენად შესაბამისობაშია თანხების მოძრაობა ფონდის მიზნებთან. საქველმოქმედო ფონდი და მას მკაცრად განსაზღვრული მიზნები აქვს. რამდენად სწორადა დახარჯული თანხები ფონდის მიზნების განსაზღვრულად, ეს არც ერთ დასკვნაში არ არის მითითებული.

ახვევ, დაუშვებელია, საქველმოქმედო ფონდმა მხოლოდ 27% დახარჯოს ქველმოქმედებაზე. ეს შემოწმებულია თანხები და შესაბამისად, მისი ლომის წილი უნდა იხარჯებოდეს სწორედ საქველმოქმედო მიზნებზე ან აუცილებელია, მოხდეს დანარჩენი 73%-ის დეტალური ანგარიშგება, თუ რაში დაიხარჯა ხალხის თანხები.

— რამდენად ვალდებულია ფონდი, წარმოუდგინოს მითხვენის საფუძველზე მისი საბანკო ოპერაციების შესახებ ინფორმაცია?

— ისევ და ისევ, ფონდის სტატუსიდან გამომდინარე, აქაც მაღალი სტანდარტის გამჭვირვალობა ფონდს ავალდებულებს, აუცილებლად წარმოგიდგინოთ ეს ინფორმაცია.

P.S. ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ფონდთან, თუკი ისინი ამ საკითხზე რაიმე ციფრის დაკონკრეტებას ისურებენ, ან სხვა დოკუმენტებს მოგავაწვდიან.

„პრაიმიტივი“ როგორც ფონდი „იანანასთან“, ისე შემოსავლების სამსახურიდან გამოითხოვა დოკუმენტაცია, რომელიც ეხება საქველმოქმედო ფონდ „იანანას“ ფინანსურ ოპერაციებს დღიდან მისი დაარსებიდან.

მიღებული დოკუმენტების მიხედვით,

„იანანამ“ 2011-15 წლებში შემოწირულობებისა და საქველმოქმედო ღონისძიებებიდან 7 416 413 ლარი მიიღო. და ამ თანხის მხოლოდ 27% დაიხარჯა ქველმოქმედებაში, რაც 2 036 522 ლარია. ფონდმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეიძინა ბინები, სტუდენტებს დაუნიშნა სტიპენდიები, გასწვია სხვადასხვა სახის დახმარებები, დაეხმარა აკვისტოს ომში დაღუპული ჯარისკაცების შვილებს.

რაც შეეხება დანარჩენ 73%-ს, ძნელი სათქმელია, როგორ და რაში დაიხარჯა ეს თანხები, დოკუმენტებში ამის შესახებ მითითებული არაფერია.

დოკუმენტების მიხედვით, 2011-215 წლებში ფონდმა ხელფასების სახით გასცა 1 756 281 ლარი, ქველმოქმედებისთვის კი ამავე პერიოდში დახარჯული აქვს 2 036 522 ლარი.

დაბოლოს, ამავე პერიოდში ფონდის საქველმოქმედო ანგარიშებიდან (და არა კომერციული საქმიანობიდან მიღებული თანხებიდან) 100 ათას ლარზე მეტი გამოიყო სატრანსპორტო საშუალების საყიდლად. ჩვენი ინფორმაციით, ეს თანხა დაიხარჯა „ტოიოტას“ ცენტრიდან „ტოიოტა ლენდ კრუიზერ 200“-ის შეძენაზე.

# გაქა-ფაქა: რა არის თავისუფლება?



მშობა, ერთობა, თავისუფლება. ამ სიტყვებით გაიქვლინა არა მარტო ადამიანთა ყურები, არამედ ქვებიც კი; არა დროს ჩვენის ქვეყნის დაარსების შემდეგ, არა გვერდითა ასე მძლავრად და საყოველთაოდ როდისმე მხმინოდეს საქართველოს ეს სამი სიტყვა, როგორც ესამ მას ამ წარსულ 1904-5 წლებში და დღესაც ესმის და მომავალ წლებშიც გაიგონებს.

მაშასადამე, უნდა ვიცოდეთ, გვესმოდეს, თუ რაა ერთი, მეორე ან მესამე. ორს ტერმინს რომ სულაც თავი დავანებოთ და მხოლოდ მესამის ძალა, ე.ი. რას ჰქვია თავისუფლება, ის შევივნოთ, ესეც კმარა, რადგან მშობა, ერთობა მარტოდენ შტოები იმ ხისა, რომელსაც თავისუფლება ჰქვია. საცა არ არის თავისუფლება, იქ ვერ იპოვნით მშობა-ერთობას, იქ შეუძლებელია მხოლოდ მტრობას, ქიშპობას, ჭამა-გულჯვას და მგლობას; მგლების ბანაკი ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით ცხვრის ფარა, საცა ნავარდობენ მგლები... საცა მგლები ბუდობენ, იქ ცხვრები რას იხეივებენ? ან რა მშობა შეიძლება მათ შორის?... თუ შეუძლებელია, მოუთავსებელი და მოუხერხებელი მგლებისა და ცხვრების შერთობა, რადღა ვევირით, რად ვიძახით ამ მშობა-ერთობას? ვიძახით და უნდა ვიძახოთ, მაგრამ მგლებს ხომ არ ვიძახით, არამედ დაქსაქსულ-დაფანტულს, დაწოკბულს ცხვრებს, რომ მოუყარონ თავითავს, შავრთდენ, მოიფიქრონ როგორ მოუყარონ თავითავს, რათა მგლების საჭმელ ღუკმად აღარა ხდებოდნენ, უნდა გამოძებნონ საფარი და გზა სავალი... მგლებს ამ დროს იქ რა ესაქმებათ? ამ დაძახილზე ისინი თითქოს ყურსაც იყრებენ, არც მოვლენ, ხოლო თავისიანებს, გაგიმარჯოსო, რომ მგლებიც კი მშობა-ერთობას უქადაგებენ. თუ ასე არ მოიქცნენ, ხომ დაგეარვათ ძალა და ცხვრებმა სათითაოდ, თუმც ამ უკანასკნელთ არა აქვთ გააღმასახლებელი კბილები, გაათავეს რქებით და ჩლიქებით?! მშობა ხომ იმას მოასწავებს, როცა ერთს მგელს გაუჭირდება, მეორე უნდა მიეშველოს. ვერეთვე თუ ცხვარი – ცხვარს.

მაგრამ, მაგარი ის არის, რომ მგლებს ისე არ ესაჭიროებათ ერთობა, როგორც

ცხვრებს, რადგან თვითველს მგელს საკმაო ძალა აქვს ცხვრებთან საბრძოლველად, – ძალა, რასაკვირველია, ფიზიკური, რომელსაც ისინი ხმარობენ ცხვრებზე. ცხვრების ძლიერება კი ერთადერთი ზნეობრივი ძალაა...

დღესნამდის ჩვენ ცხვრები ვიყავით და ვართ კიდევაც, ხოლო ვინც მგლები არიან, ეს თქვენც კარგად იცით. ჩვენ ვიტანჯებოდით, ვირბოდით და ამ რბევა-ცარცვამ გვაფიქრებინა მიგვემართა ერთობისათვის, ერთი პირი, ერთი ფიქრი მოგვეპოვა და ამით შეგვეძინა ძალა... ჩვენ მოვისურვეთ თავისუფლება: განუკითხავად არ ეჭამა და ეპარსა ჩვენი თანამოქმენი მოსახლე მხეცებს... ჯერჯერობით ამაში გამოიხატება ჩვენი წადილი თავისუფალი სიცოცხლისა, რომ ძალმომრეობას გზა მოვებაცოთ და თანდათან სრულიადც მოვხპოთ იგი.

თავისუფლება ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრებისთვის. იგი გამოიხატება ადამიანის ნდობა-მისწრაფებაში; თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძობისა და არა განხვევება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთიერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერთი დამონებულია და დამონებულ ერთში, რა თქმა უნდა, პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი.

იქ რა უნდა თავისუფლებას, საცა ჩემი ნაშრომ-ნაღვაწი სხვას მიაქვს? ჩემი ნაშრომის ნაყოფს ჩემდა უნებურად, ჩემ მიერ ნებადაურთველად სხვა ისაკუთრებს? მე ვტყვი, ის იცინის და ჩემში მტაცებლის მიმართ მხოლოდ ზიზღი და გრძობა შურისძიებისა სდებს და გადმოდის. მინდა ვისწავლო და ნება არ მეძლება; მინდა ჩემი საკუთარის ხარჯით დავაარო უნივერსიტეტი და უარს მეუბნებიან; და სხვ. და სხვ...

არ მინდა ვილოცო ის მშვენიერად მორთულ-მოკაზმული კერპი, რომელსაც შენ ჰლოცულობ.

იქ ვინ ნახა თავისუფლება, საცა მე ჩემს დედაენაზე ლაპარაკს მიშლიან: არც მასწავლიან, არც მაუბნებენ, არც მამღერებენ, არც მაგალობებენ?! რა გული უნდა მქონდეს მაშინ? რას უნდა ვგრძობდე?! – სხვას არაფერს, გარდა ზიზღისა, მძულვარებისა. მოწამლულ-მოშხამულია ჩემი სიცოცხლე, ვგრძობ მხოლოდ უსიამოვნებას, სიძულვილს და ვწყველით იმ ძალებს, იმ მგლებს, რომელნიც ყველა ზემოთ აღნიშნულ საქმეში ხელს მიშლიან, წინ მედობებიან და ვუცდი მარჯვე შემთხვევას შემეუსროს ისინი... როცა ეს დრო დგება და მეც მოქმედებას ვიწყებ ამ ძალთა შესამუსრავად, დასათრუნად, მაშინვე იწყება ჩემი თავისუფალი ცხოვრება; აქ არის დასაწყისი თავისუფლებისა. და უკეთუ ვითმენ, ხმას არ ვიდეხ, არაფერს ვამბობ, მაშინ ვარ მონა, არა მძულს ჩემი მწავრელი ძალა; იქნება მძულს კიდევ, მაგრამ ამ მძულვარებას გულში ვმალავ;

მაშინ ვარ ღანარი, უფრო საზიზღარი, ვიდრე მონაა. არა, მძულვარება როცა უკიდურესობამდეს მიდის, მაშინ ღანარული გრძობა ისობა, მაშინ ამბობს ადამიანი: ან მოგვედები, ან ვიდეხ ჩემს მტანჯველთ!..

არ იძლევა, არ დამარცხდება მწავრელი ძალა, არ დაფრთხება მგლის ჯოგი, ვიდრე ამას არ იტყვის უმრავლესობა. იტყვის კი როდისმე ერთი გადაჭრით, თავგამოდებით „სიკვილი ან სიცოცხლე“ (ე. ი. თავისუფლება)! – იტყვის და ამბობს კიდევაც, ამას ჩვენი თვალით ვხედავთ. აშკარად ვგრძობთ ყველანი... მაშასადამე, სწანს მისმა მძულვარებამ მგლებისადმი უკიდურესობამდე მიაღწია. თუ ეს ფაქტია, ნამდვილი მოვლენა, მაშინ იცოდეთ, სიკვილი აღარ შეგვაშინებს, მაშინ ყველა მზად იქნება თავი დასდოს თავისუფლებისათვის და გამარჯვებაც უსათუოა. ამიტომ, ვიმეორებ. ვისაც თავისუფლება უყვარს და უნდა მისი დამყარება ქვეყნად, ჯერ უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიძლოს მთელის თავის არსებით, გულით და გონებით მტარვალნი და მტარვალობა. ეს არის მხოლოდ საშუალება, რომლის წყალობით ადამიანს შეუძლიან მედრად იბრძოლოს და არ დაზოგოს სიცოცხლე თავისუფლების მოსაპოვებლად. და რა არის ეს თავისუფლება, რატომ არ იკითხავთ? უკაცრავად ნუ ვიქნები, რომ მე ჩემებურად განვმარტო ეს სიტყვა: თავისუფლება ხალხისთვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა. ბედნიერება წართმეული რა პრჩება უბედურების მეტი? – არაფერი. კიდევ იმ-იტომ არის, რომ უბედურად ჰგრძობს თავის თავს ყველა დამონებული, თავისუფლებას მოკლებული ერთი და პიროვნება. წართმეველნი სარგებლობენ ამ ნაყანადარის ბედნიერებით მხოლოდ ცოტახანს, რადგან ცხოვრების ლოიკის წყალობით ეს ნადავლი, მოპარული ბედნიერება მტაცებელთათვის უბედურებად ხდება. გადაავლეთ თვალი მთელს რუსეთს და ჩვენს ქვეყანას. აშკარად დაინახავთ, რომ ეს ასეა. დღეს ხალხი იბრუნებს იმას, რაც წაართვეს და წართმეული გახლავთ, მოკლედ რომ ვთქვათ, ბედნიერება – წართმეველი დღეს ტირის, ხოლო გაცარცული მთელის, მხიარულობს, რადგან დანაკარგს პოულობს. წართმეულს იბრუნებს. თავისუფლების ქურდები ბოლო ჟამს მუდამ დასჯილან. როდისა დგება ეს ბოლო ჟამი? – სწორედ მაშინ, როცა ხალხი თვალებს ახელს, როცა თავის ყოფა-მდგომარეობის აუტანლობასა ჰგრძობს და მხედავს, გაიცნობს იმ შვეძლებს, რომელთაც წაართვეს ბედნიერება, – სძულს ისინი უსახდლოდ; სწორედ მაშინ ცდილობს შემეუსროს თავის დამმონებელნი...

რას თხოულობს თავისუფლება ადამიანისაგან? როგორ უნდა იქცოდეს თავისუფალი ადამიანი? – თავისუფალი ადამიანი უნდა იქცოდეს ისე, რომ თავის ყოფაქცევით სხვას არ ჰვნებდეს, მით უმეტეს საზოგადოებას, არამედ მისი მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის საბედ-

ნიეროდ. თუ ეს პირობა არ იქნება ადამიანისაგან დაცული, მაშინ მისი მოქმედება იქნება ავაზაკური, ვინაიდან ყოველი ავაზაკი თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის. მაშასადამე, მხოლოდ იმაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავს ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო, – არა! უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება ედგას სარწულად, ქვეყნის თუ სასარგებლო არა, სამაგნებლო, საზარალო მაინც არ უნდა იყოს ქვეყნისათვის. ყველა ჩვენგანი ხალხისათვის. მოტაცებული თავისუფლება მტაცებელთა ხელში როდია თავისუფლება, იგი იქცევა მტარვალობად. ამ თავისუფლებისა მტარვალნი ათასნაირს ჯაჭვ-ბორკილებს სტედენ, ხაფანგებს, გაზებს, თავში სცემენ კვერებს და საღრნობელის ბოძებს სდგამენ... ხალხს ამ თავისუფლებისაგან შეზავებულს შხამნაღველს, საწამლავს უშხადებენ და იმას აწვდიან. ბოლოს კი თითონ რჩებიან მოწამლულნი. ისტორია ამის მაგალითებს უხვად იძლევა. ხალხი იტანს ამ საწამლავს, იგი ისევ ხალხად რჩება, იმარჯვებს, ხოლო მტარვალთა გული მიწაზე ერთხობა. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლების წართმევა უფრო იმათ ჰვნებს, ვინც თავისუფლებას ჰპარავს, ართმევს ხალხს და ჰსურს იმით მარტო თავად ისარგებლოს. თავისუფლების მტაცებლებზე სწორედ უნდა გამოტრილი ქართული ანდაზა: „ვირმა პალო მოაძრო და იმდენი სხვას არა ჰკრა, რამდენიც თითონ იკრაო“.

ხალხის მმართველნი, რომელნიც ამ უადრესს უგუნურებას ჰშვებიან და ხალხის მინებად გადაქცევენ ცდილობენ, გარდა იმისა, რომ თავიანთ წოდებას ჰპრწინან ზნეობრივ და ფიზიკურად, ხალხსაც აფუჭებენ. დამონებული ერთი მუდამ ბენავია შინაურობაში და რა თქმა უნდა ბენავი და სუსტი გარეშე მტერთან საბრძოლველად.

მაშასადამე, თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი ერთი ქვეყანაც მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როცა მოისპობა წოდებრივი უპირატესობანი, ყველა წოდება იქნება თავისუფალი, ე. ი. ბედნიერი... თავისუფლება და ბედნიერება სინონიმებია.

ნუ ეძებთ იქ თავისუფლებას, სადაც ცხოვრებას ისევ საფუძვლად წოდებრივი განსხვავება აქვს დადებული, საცა ყველას განურჩევლად წოდებისა და გვარიშვილობისა, არ ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოპოვოს პური არსებისა, საცა შრომა ღირსეულად არ ფასდება, საცა არ არის თანასწორად განაწილებული ცოდნა, ქონება.

## 2016 წელს სასჯელაღსრულებების სისტემაში სუიციდით გარდასვალბის არსებითი ფაქტი არ დაფიქსირებულა

მსოფლიოს დიქტატურის ისტორიიდან ცნობილია, რომ დიქტატურის დამყარებას სატრაპები იწყებდნენ იმით, რომ პანიკურ შიშს სთესავდნენ მოსახლეობაში და სიტყვის შებრუნების ხალხს უკარგავდნენ მათ. როგორც ჩანს, სააკიანცმა და მისმა ამფსონებმა: ადგიშვილებმა, ბოკერიებმა, მერაბიშვილებმა, თარგამაძეებმა, დარჩი-აშვილებმა და დანმა და ძანამ მათმან, კარგად უწყოდნენ ეს ამბავი და საქართველოს მოსახლეობაში პანიკური შიშის დანერგვა ციხეებიდან დაიწყეს, რისთვისაც ციხეში უკრეს თავი სამასი ათასზე მეტ ადამიანს. ყველა ვერ უძლებდა ციხეებში ნაცების მიერ დანერგულ წამებას და შეურაცხყოფას, ამიტომ, დღე არ გავიდოდა, რომ რომელიმე პატიმარს თვითმკვლელობით არ დაეთავსებინა სიცოცხლე.

პროგრამის ამოქმედების შემდეგ პენიტენციურ სისტემაში სუიციდით გარდაცვალების არცერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა. ხოლო, პროგრამის დაწყებიდან დღემდე, სუიციდური კრიზისიდან 170-ზე მეტი ბრალდებულის და მსჯავრდებულის გამოყვანა მოხერხდა.

პენიტენციურ დაწესებულებებში სუიციდის პრევენციის პროგრამის განხორციელება ვეროსაბტო და ვეროკავშირი აქტიურად უჭერს მხარს. მხარდაჭერის ფარგლებში ვეროსაბტომ 23-24 ივლისს სუიციდის პრევენციის საბტოს ახლად-დანიშნული კოორდინატორებისა და წევრების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე საბტოს ახალმა წევრებმა და სუიციდის პროგრამის კოორდინატორებმა ციხეებში არსებული ვითარება განიხილეს, სუიციდის პრევენციისთვის აუცილებელი აქტივობების გასაძლიერებლად შემდგომი ნაბიჯები განსაზღვრეს და ახალი რეგულაციების დანერგვის გზებზე იმსჯელეს.

ვეროსაბტოს საერთაშორისო და ადგილობრივმა კონსულტანტებმა საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში სუიციდის პრევენციის პროგრამის ამოქმედების პარალელურად ტრენერების გადამსამზადებლად სპეციალური პროგრამა და მეთოდოლოგია შემუშავეს. შედეგად საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის 800-მდე სამედიცინო და არასამედიცინო პერსონალმა, ციხის ღირექტორებმა, მათმა მოადგილეებმა და სხვადასხვა დაწესებულებების მთავარმა ექიმებმა გადამსამზადების კურსი გაიარეს და სუიციდის პრევენციისთვის განსახორციელებელ აქტივობებზე ასევე სუიციდის მართვის ტექნიკებზე დამატებითი ინფორმაცია მიიღეს. რაც თავის მხრივ პენიტენციურ დაწესებულებებში სუიციდის შემთხვევების მაქსიმალურად შემცირებას ისახავს მიზნად.

სუიციდის პრევენციის პროგრამა საპილოტე რეჟიმში 2013 წელს 8 დაწესებ-

ულებაში ამოქმედდა და ეტაპობრივად ყველა პენიტენციური დაწესებულება მოიცვა. 2016 წლის 11 თებერვალს კი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 13 ბრძანების თანახმად პროგრამა ოფიციალურად დამტკიცდა. მიმდინარე წელს პროგრამაში 71 მამაკაცი, 8 ქალი და 1 არასრულწლოვანია ჩართული.



მარგველაშვილი და პაპუაშვილი სახელმწიფო გადატრიალება დაგეგმეს?

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გიორგი პაპუაშვილის და საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის განცხადებებმა საზოგადოებაში ვნებრივი ადგილი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

აღნიშნულთან დაკავშირებით თავისი პოზიცია მედიას „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მუხაშვილმა გააცხადა:

„პრეზიდენტის და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებებმა, მასზე შემდგომმა რეაქციებმა ნათლად ცხადყო თუ რა პროცესებთან გვაქვს საქმე. თუ 1991-1992 წლებში არაკანონიერი შეიარაღებული ფორმირებების მეშვეობით ხდებოდა სახელმწიფო ინსტიტუტების განადგურება. ახლა ორი წელია ცრუ ბრალდებებით, სახელგამტეხი ინფორმაციების მუდმივი ტირაჟირებით ქვეყნის პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი, „ნაციონალურ მოძრაობას“ და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ არასამთავრობოებთან ერთად ცდილობენ ჩამოშალონ სახელმწიფო ინსტიტუტები: პროკურატურა, პოლიცია და სასამართლო. სწორედ ამ ინსტიტუტების ჩამოშლის შემდეგაა შესაძლებელი სახელმწიფო გადატრიალებისა და რეგულაციების მოწოდება რომელიც უკვე კარგა ხანია აანონსებს ნაცმოძრაობა.

გიორგი პაპუაშვილის განცხადება რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებზე მიდის ზეწოლა და შანტაჟი თავიდანვე იმით არ იყო სარწმუნო, რომ თავად მისამართლებმა ღალი ფაფიაშვილმა, მერაბ ტურავამ, ოთარ სიჭინავამ და სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა თაყაიძემ მედიასთან კატეგორიულად უარყვეს მათზე დასასამართლოს სხვა წევრებზე რაიმე სახის ზეწოლა და შანტაჟი. პაპუაშვილის საჯარო განცხადებებიდან გავიდა 6 დღე და მიუხედავად მისიერი შეთავაზებისა მთავარი პროკურატურის მხრიდან, გამოცხადებულიყო პაპუაშვილი დაკითხვაზე ამ უკანასკნელმა კატეგორიული უარი განაცხადა. არ ვენდობი გამომძიებებს და პროკურატურას. ჩნდება კითხვა რატომ არ მიდის გამომძიებართან სასამართლოს თავმჯდომარე. ამ კითხვაზე პასუხი ნათელია. მას არ აქვს კონკრეტული მტკიცებულებები, მას ეშინია რომ თავად არ აღმოჩნდეს ბრალდებული ცრუ დასმენის გამო, რადგან სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლით დანაშაულის შესახებ ცრუ დასმენა კანონით ისჯება. მიუხედავად ამისა ნაცმოძრაობა და ნაცარასამთავრობოები ხელისუფლებას სდებენ ბრალს საქმის გამოძიების გაჭიანურების გამო, რაც გაუგებარია, რადგან წარსულში ჩადენილ დანაშაულზე თუ თავად ამგვარი ზეწოლის და შანტაჟის მსხვერპლმა არ მიაწოდა ინფორმაცია და მტკიცებულება პროკურატურას, არ ითანამშრომლა მასთან, რა საქმის გამოძიებაზე შეიძლება იყოს საუბარი.

2. პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ასევე დიად დაარტყა ძალად სტრუქტურებს როცა თქვა, ჩემი სიძე როგორ განხორციელო. ნებისმიერ წამყვან ევროპულ ქვეყანაში ამ განცხადების შემდეგ დაიწყებდნენ პრეზიდენტის დაუფლებელი გადადგომაზე საუბარს, რადგან პრეზიდენტმა დაარტყა კანონის წინაშე ყველას თანასწორობის აღიარებული პრინციპი. აშშ-ს და ევროპის წამყვანი ქვეყნების პირველი პირების შეილება და ოჯახის წევრები ხშირად ყოფილან კანონთან კონფლიქტში და გასამართლებულნიც, მაგრამ ეს არ გამხდარა მათი მხრიდან რაიმე

შეთქმულების ძიების მიზეზი. თანაც, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩხრეკისას პრეზიდენტის სიძის თანხლებ პირს აღმოჩნდა ცივი იარაღი, რამაც შექმნა გონივრული ეჭვი, რომ შესაძლოა თავად პრეზიდენტის სიძეს და სხვა პირებსაც ჰქონოდათ იარაღი ან სხვა კანონით აკრძალული საშუალება. აღსანიშნავია, რომ გიორგი მარგველაშვილი მის უფლებებს კანონთან კონფლიქტში მყოფ სხვა ახლო ნათესავების გადასარჩენადაც ხშირად იყენებს, რისი დასტურიც 2013 წელს მისი ცოლის ძმის შეწყველებაა. მკაცრად ნახევარძმა, მიხეილ მაგალაშვილი, რომელსაც 2012 წელს, ჯგუფურად ჩადენილი განზრახვების მკვლელობის მცდელობისთვის 17 წელი მიუსჯვეს, მარგველაშვილმა შეიწყვალა და ციხიდან გაათავისუფლა. სასამართლოს განაჩენის მიხედვით, მკაცრად ნახევარძმა, მანამდე ორჯერ იყო გასამართლებული – ნარკოტიკების მოხმარებისათვის, ხოლო ბოლო დანაშაული მან პირობითი მსჯავრის ქვეშ ჩაიდინა. მიხეილ მაგალაშვილმა ციხე 2013 წელს მასინ დატოვა, როცა მას მინიმუმ კიდევ 10 წელი ჰქონდა მოსახლეობა.

3. თუკი პრეზიდენტი საუბრობს მასზე ზეწოლაზე, თუკი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეც საუბრობს ამგვარ ზეწოლაზე და ორივე მათგანი ღია ბოიკოტს უცხადებენ საგამომძიებო სტრუქტურებს და მათ ვიდაცეების პოლიტიკურ ინსტრუმენტად მიიჩნევენ, ამ ფონზე რაღა უნდა იფიქროს უბრალო მოქალაქე რომელსაც უმადლესი რანგის თანამდებობის პირებიდან ასეთი განცხადებები ესმის. ნათელია, ყოველივე მიხნად ისახება საზოგადოებაში დაუცველობის და უკანონობის განცდის შექმნას, რათა არჩევნების წინ ნაცმოძრაობის დაანონსებულ სახელმწიფო გადატრიალებას სწორედ ამ უბრალო მოქალაქეებმა მხარი დაუჭიროს.

4. პრეზიდენტის და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებები ასევე გათვლილია საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად. როცა სახელმწიფოს მიერ ძალადობაზე ქვეყნის პრეზიდენტი და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე საუბრობს, ამას სხვა ელფერი და გამომხმარებელი აქვს. ეს ჩვენ ვიცით, რომ ორივე ოდესიდან იღებს დავალებებს ამგვარი განცხადებების გასაკეთებლად, მაგრამ ევროპაში ამის ახსნა, ხშირ შემთხვევაში, ძალიან ჭირს. ერთი კი უდავო ფაქტია – მარგველაშვილის და პაპუაშვილის განცხადებები სახელმწიფო ინსტიტუტების ნგრევისკენ და ნაცმოძრაობის დაანონსებული სახელმწიფო გადატრიალებისთვის შესაბამისი ფონის შექმნისკენა მიმართულია.



მიხეილ სააკაშვილი საკუთარი თავის ბამოსახულებით მონებები დაამზადა



ავღმყოფია ეს შობელობი და თქვენ კი არ გჯერათ (ვითომ ხუმრობა ეს ყველაფერი?)

ამბობენ, „ვაშლი ვაშლის ხიდან შორს არ ეცემოდ“. მეორენაირად კი, იტყვიან: „რაც აღხანაა, ის წაღხანაა“. არ არსებობს უარყოფითი მცნების ამსახველი ეპითეტი, ნაციონალებს და მათ თავქარქაშა ბელადს რომ არ მიესადაგებოდეთ – მკვლელები, საღისტი, ნადირადა, შიზოფრენიკი, ხაზინის ქურდი, ცველანი, პედერასტი, ლესოსელი, პარტიკომფერე-ამორალური, უზომოდ ამბიციური, პროვოკატორი, სულიერად და ფიზიკურად მახინჯი...

ფანტაზია არ ყოფილა ადამიანს, ნაციონალებისა და სააკიანცის ყველა მანკიერება რომ ჩამოთვალოს! ბოლოს მოსმენილმა ამბავმა კი მართლაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. – ოდესის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა საკუთარი თავის გამოსახულებით მონებები დაამზადა და ეს ქმედება უკრაინელი ვითომდა მადლიერ ხალხს დააბრალდა.

ყოველივე კი ასე მოხდა: მიხეილ სააკაშვილმა საკუთარი დაბადების დღის აღსანიშნავად, თავისი გარემოცვის წევრს დენის რუდენკოს, მიხეილ სააკაშვილის გამოსახულებიანი მონებების დაზავება დაავალა, იმისთვის, რომ ეს ქმედება მადლიერ ხალხს დაბრალდებოდა. ათასლარიანი ნომინალის მონებები სპილენძის, ნიკელის, ვერცხლის და ოქროსგან არის დაზავებული და ერთ-ერთ უკრაინულ საიტზე იყიდება.

ავერსზე გამოსახულია სააკაშვილი და შვიი ზღვის გეოგრაფიული რუკა, რომელზეც აღბეჭდილია უკრაინა და საქართველო. ნიკელისა და სპილენძისგან დაზავებული სუვენირის ფასი 850 გრივნაა, ოქროს მონებები 35 000 გრივნა ღირს.

ჩვენ აღფრთოვანებული ვართ მიხეილის საქმით და გადაწყვიტეთ, რომ ის იმსახურებს

ასეთ საჩუქარს დაბადების დღესთან დაკავშირებით (საკაშვილი 21 დეკემბერს არის დაბადებული) და შეიძლება უკრაინის პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშნვის წინაც“, – აცხადებს სააკაშვილის გარემოცვის წევრი და გუბერნატორის ადმინისტრაციის თანამშრომელი დენის რუდენკო.

სიფილისი, რომლითაც იტანჯება მიხეილ სააკიანცი, ერთ-ერთი საშინელი დაავადებათაგანია, რომელიც გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემას, იწვევს ტვინის შეშუპებას და ფსიქიკურ აშლილობას, რომელსაც თანახლავს ფრიალ შობელობაში პალუცინაციები. სწორედ ეს პალუცინაციები არ აძლევს მოსვენებას დაშნაკ მისთვის, რომელიც საკუთარ უბადრუკ პიროვნებას ხან დავით აღმაშენებელ ადარებს, ხან კი ალექსანდრე მაკედონელს და მას ნამდვილად სჯერა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომში გამანადგურებელი გამარჯვება მოიპოვა რუსეთის შეიარაღებულ ძალებზე.

თქვენ გვინათ ეს მისი ფანტომური ახირება?

არა! მას ნამდვილად სჯერა, რომ ისტორიული გამარჯვება მოიპოვა რუსეთზე და ამიტომაც არ ასვენებს იმაზე ფიქრი, თუ რატომ უარყო იგი ქართველმა ხალხმა 2012 წლის არჩევნებში.

როგორც იტყვიან, „ფულიდა გვაკლდა მაგის სახელზე მოჭრილი“...

ამასაც ვედირსეთ! შეიმოხს სრულიად სანაცვითი, რომ მალე იხილავენ საკუთარ ბუღალდს თეთრ რაშზე ამხედრებულს, ოდნოდ არა საქართველოს კარიბჭესთან მოვარდნილს, არამედ საიქიოს ჯოჯოხეთურ ფილიალთან აწურულს, განკითხვის კამის მოლოდინში!

ამინ! გაზეთ „ილორის“ თეოლოგიის განყოფილების ნუმიზმატიკის ქვეგანყოფილება

ცოტნე გამსახურდია: საქართველოს ბუნების ბაჩანაბება-ბანადგურება ბენდუქიძის თაოსნობით დაიწყო!

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შვილი – ცოტნე გამსახურდია საქართველოს და თბილისის ეკოლოგიურ პრობლემებზე საუბრობს და 2012 წლის 20 მარტს მიღებულ კანონს იხსენებს.

ცოტნე გამსახურდიას თქმით, საქართველოს მწვანე საფარს რეალურად განადგურება ნაცებისდროინდელი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის კახა ბენდუქიძის თაოსნობით დაიწყო...

„საქართველოს ბუნების განაგება, განადგურება ბენდუქიძის თაოსნობით დაიწყო. ბენდუქიძის წახვლის შემდეგ ეს კურსი ჩვეული ავტორიტარული მანერით გააგრძელა მიხეილ სააკაშვილმა და სამწუხაროდ, გადაიბარა ახალმა ხელისუფლებამ. მართალია, ბუნების განადგურება ნაცებისდროინდელი მასშტაბით აღარ მიმდინარეობს, მაგრამ ხე-ტყის გაჩეხვის უთავბოლო ტენდენცია ჯერჯერობით მინც შენარჩუნებულია...

ამ ტენდენციის დამდუპველი შედეგიც სახეზეა – აშკარად იგრძნობა ჰაერში ჟანგბადის ნაკლებობა, საერთაშორისო ეკოლოგიური კომისიის დასკვნით კი თბილისში ჰაერი მსოფლიოში ყველაზე დაბინძურებულად გამოცხადდა.

რაც შეეხება 012 წლის 20 მარტს მიღებულ კანონს, წაიკითხეთ, ვისაც არ გახსოვთ, ამ ცვლილებას ალბათ ანალოგი არ მოეძებნება თანამედროვე მსოფლიო საკანონმდებლო პრაქტიკაში და ის მსოფლიო კოლონიალური ეპოქის სამართალში უნდა ვეძებოთ!

2012 წლის 20 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ“. კანონი შესაძლებელს ხდის დაინტერესებულ პირსა და საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის უვადო შეთანხმების დადებას, რომელიც დაინტერესებულ პირს, სახელმწიფოს სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდის

სანაცვლოდ, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში ჩადენილი სამართალდაცველობისთვის პასუხისმგებლობისგან სრულად გაათავისუფლებს. ამასთან, შეთანხმების ხელმოწერა დაინტერესებული პირი, თავისუფლდება ყოველგვარი ვალდებულებისგან, ჯარიმის ან/და მის მიერ ბუნებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისგან, ასევე, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისგან. კანონი, აგრეთვე, კრძალავს დაინტერესებული პირის საქმიანობის მაკონტროლებელი ორგანოების მიერ შემოწმებას.

კანონი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებს, გარემოს დაცვის საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით განმტკიცებულ პრინციპებს და შეიცავს მნიშვნელოვან გარემოსდაცვით, კორუფციულ, ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკური ხასიათის რისკებს. ეს ყველაფერი პრინ-

ციპულად შეუთავსებელი იყო საერთოდ გარემოს დაცვის იდეასთან!

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ დღეს გარემოს დაცვის ადეკვატური სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობა არ გვაქვს! – წერს გამსახურდია.



სპორტული კუთხე მიჰყავს შურნაღისტ ბიორბი ჯალალანის

სტადიონზე კვირი... უნდა გაყიდოს თუ არა "იუვენტუსმა" პოლ პოგბა?



\* უცხოური მედიის მტკიცებით, "მანჩესტერ იუნაიტედი" ნახევარმცველ პოლ პოგბას კვირაში 220 ათას გირვანქაზე შეუთანხმდა.

\* მოვლენათა ანალიზის შემდეგ პოგბას აგენტი მინო რაიოლა უარყოფს, რომ "იუნაიტედი" უკვე შეუთანხმდა ფეხბურთელს.

\* მედიის ინფორმაციით, "მანჩესტერი" "იუვენტუსს" 120 მილიონ ევროს უხდის, ეს კი მსოფლიოს რეკორდია საფეხბურთო ტრანსფერებში.

\* პოგბა "იუვენტუსში" სწორედ "მანჩესტერიდან" გადავიდა 2012 წელს.

ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური თემა პოლ პოგბას "იუვენტუსიდან" შესაძლო აბარებაა. 23 წლის ნახევარმცველის გადაბირება "მანჩესტერ იუნაიტედს" და მადრიდის "რეალს" სურთ.

უკანასკნელი ინფორმაციით, მანჩესტერელები მზად არიან, რომ პოგბას

სანაცვლოდ, "იუვენტუსს" 120 მილიონი ევრო გადაუხადონ!!!

და ეს მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ბოლო ჩემპიონატზე ნახევარმცველმა პოლ პოგბამ ბევრით ვერაფრით გამოიჩინა თავი.

ნახევარმცველის შესაძენად გახაზირებული თანხა მართლაც რომ კოლოსალურია, "იუვენტუსი" კი დიდი ხანია წინაშეა ერთი მხრივ, სასწორის პინაზე საკვანძო ფეხბურთელი და უდავოდ დიდი ძალა და იმედები და მეორე მხრივ, ყოველივე ამისათვის უნდა გადაიხადოს ასტრონომიული თანხა, რომლითაც კიდევ უფრო აქტიური სატრანსფერო კამპანია შეგიძლია აწარმოო.

მაგრამ, როგორც ჩანს "იუვენტუსს" ჩიტი ბრძღენად უღირს, თუ, მით უმეტეს, ისეთ ჩიტიზე ლაპარაკი, რომელთაც პაექრობას არწივებენ კი ვერ იტყვიან!

შექსპირისეული შეცხადების არ იყოს - უნდა გაყიდოს თუ არა "იუვენტუსს" პოგბა? - საკითხავი აი, ეს არის და ჩვენც ამ თემაზე შეგჩერდეთ...

პოგბა უფრო ძვირია, ვიდრე "იუვენტუსს არენა"

თუ მიწის ნაკვეთის შესყიდვას და სტადიონის თანამედროვე ტექნოლოგიებით

აღჭურვას არ ჩავთვლით, "იუვენტუსს არენის" აშენება 115 მილიონი ევრო დაჯდა. ანუ სუფთა სამშენებლო სამუშაოების ღირებულება სწორედ 115 მილიონი ევროა. პოგბას სატრანსფერო ფასი 120 მილიონია და გამოდის, რომ ერთი კონკრეტული ფეხბურთელი სტადიონზე უფრო ძვირია. თავად განსაჯეთ, "იუვენტუსს" შეუძლია, რომ ერთი ტრანსფერით სტადიონში ჩადებული ინვესტიცია მთლიანად ამოიღოს.

ამ დროს, რამდენი იტალიური გრანდი ვერ ახერხებს, რომ თავისი სტადიონი ააშენოს? - "მილანი", "ინტერი", "რომა", "ლაციო", "ნაპოლი", "ფიორენტინა" - ეს კლუბები, ალბათ, სიამოვნებით გაასხვისებდნენ პოგბას და შემდეგ ააშენებდნენ ახალ, თანამედროვე არენებს...

პოგბა, როგორც ზიადანი

2001 წელს "იუვენტუსმა" მადრიდის "რეალს" ზიადანი მიჰყიდა და მის სანაცვლოდ 75 მილიონი ევრო აიღო. მაშინ ზიადანი გაცილებით უფრო დიდი ფიგურა იყო, ვიდრე დღეს პოლ პოგბაა და ტურინული გუნდისთვისაც კიდევ უფრო დიდ ძალას წარმოადგენდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმ დროისთვის ზიადანი უკვე მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი იყო.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, "იუვენტუსს" შეეძლო ზიადანს და, როგორც შემდეგ გამოჩნდა, ამით უფრო მოიგო, ვიდრე წააგო.

ზიადანის სანაცვლოდ აღებული ფულით, "იუვენტუსმა" ჯანლუიჯი ბუფონი, ლილიან ტიურამი და პაველ ნედვედი გადაიბირა, რითაც პრაქტიკულად, ყველა რგოლი გააძლიერა. რეალურად, მივიღეთ ახალი "იუვენტუსი", რომელმაც შემდეგ უამრავი ტიტული მოიგო.

როგორც რამდენიმე დღის წინ ჯანლუკა ბამბროტამ აღნიშნა, ზიადანის სანაცვლოდ აღებული ფული "იუვენტუსზე" დღემდე მუშაობს, რადგან ბუფონი ისევ ტურინული გუნდის კარს იკავებს და კიდევ მინიმუმ ორი წელი არ აპირებს კარიერის დასრულებას.

"იუვენტუსს" ამჯერადაც შეუძლია, რომ

გაყიდოს პოგბა და ამ ფულით, მაგალითად, 3 უმაღლესი კლასის ფეხბურთელი გადაიბიროს...

მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ სამი უკეთესია ერთზე!

306 უნდა იყიდოს "იუვენტუსს" 120 მილიონად?

დღეს ფეხბურთის სამყაროში რომ თანხები ტრიალებს, რაოდენობით მას მხოლოდ ნიუ იორკის ან ლონდონის საფონდო ბირჟები თუ შეედრებიან! ზოგიერი კლუბის ბიუჯეტი კი მთლიანად სახელმწიფოს წლიური ბიუჯეტის ადამპტური გახლავთ.

ერთია, რომ 120 მილიონად შეგიძლია იყიდო 3 უმაღლესი კლასის ფეხბურთელი, მაგრამ არიან კი ბაზარზე ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც მაშინ ბუფონი, ტიურამი და ნედვედი იყვნენ? - მაგალითად, "იუვენტუსს" შეუძლია ამ თანხით რაიმე სტერლინგი და კევინ დე ბრუინი იყიდოს, მესამე ფეხბურთელისთვის კი ფული არ დარჩება და ასეთ შემთხვევაში, "იუვენტუსს" აუცილებლად იზარალებს - ანუ ბაზარზე მეტწილად ისეთი "ვარსკვლავები" არიან, რომელთა ფასი აშკარად გაბერილია და ასეთ შემთხვევაში, "იუვენტუსს" ნამდვილად არ უღირს პოგბას გაყიდვა...

მაგრამ მაინც, არიან ისეთი ფეხბურთელები, რომელთა გადაბირებით "იუვენტუსს" რეალურად შეუძლია გაძლიერება და შეგიძლია კონკრეტული გვარებიც ჩამოგთვალათ - მაგალითად, მარკო ვერატი და რაჯა ნანგოლანი ნახევარდაცვაში, ხოლო ედინსონ კავანი თავდასხმაში.

მართალია, წინასწარ რთულია იმის ვარაუდი, ვინ გაამართლებს და ვინ არა, მაგრამ "იუვენტუსს" სწორედ იმითაა ძლიერი, რომ სწორი სატრანსფერო პოლიტიკა აქვს და თითქმის არასდროს ცდება ფეხბურთელებში.

და მაინც, უნდა გაყიდოს თუ არა "იუვენტუსს" პოგბა? - საკითხავი აი, ეს არის...

გაეშვიდა სარბი კრემლიონის ნიგნ "ლაკრენტი ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომიანი გამოცემა



უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიონის წიგნისა "ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ - 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალალანია და ნუგზარ გოგუა. თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ - 557.324.374

იულორი

დღეა შეიღეს ციხეში წერილს სწერს: "შვილო, დაუძღვრდი, მიწის დამუშავება ღარ შემოძლია, არც არავინ დამეხმარა და წელსაც ვერაფერი დავთესე, რა ვქნა, აღარ ვიცი..."

შვილი უზგანის პასუხს: "დედი, ბოსტანს არ გაეკარო, თორემ ისეთ რამეს ამოთხრი, მაგრად ინანებ..."

დედა: "შენი წერილი რომ მივიღე, მოვარდა პოლიცია, ბოსტანი სულ გადათხარეს, ვერაფერი იპოვეს და გაბრაზებულები გინებით წავიდნენ..."

შვილი: "რა ვქნა, დედი, რითაც შემეძლო, დაგეხმარე. დათესვა შენზე..."

სომეხი თოვლის პაპა: - აბა, ბავშვებო, იყიდეთ საჩუქრები!

ჭიჭიკია კედება და ცოლს უბარებს: - მე ვკვდები. ვიცი, რომ შენ გათხოვდები, მაგრამ უფლებას არ გაძლევ, რომ ჩემი ტანსაცმელი შენმა მეორე ქმარმა ჩაიცვას.

- მაგაზე ნუ იღარდებ. მოვაზომე და პატარა აქვს.

Advertisement for 'Berkia' magazine, featuring a portrait of a man and text about the magazine's content and subscription information.

ISSN 1987-8966 "ილორი" with a barcode.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარკმ. №01018002930 234-32-95

მითავარი რედაქტორი: როლანდ ჯალალანია ბაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge